„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 5 (271) 18 მაისი, სამშაბათი. 2018 წელი; ფასი 1 ლ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავი

საქართველომ გიორგობა აღნიშნა

უძველესი ზესკისი მხედარი ფარავდეს სრულიად საქართველოს

მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდა დიდმოწამე გიორგის აღსრულების დღე აღნიშნა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სადღესასწაულო ლიტურგია სამების საკათედრო ტაძარში აღავლინა.

წმინდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში, კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა.

მე-3 გვ.

XX საუკუნე – საქართველოს 2-ჯერ დაკარგული დამოუკიდებლობა ერთმორწმუნე რუსეთის გამო

26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა - 100 წლისთავი

ნუ დავკარგავთ შანს გავხდეთ ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა

მე-3 გვ.

ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა, იქნებ, დაინახოთ დემოკრატიულ ფასადს მიღმა ცრემლიანი საქართველო

მე-2 გვ.

დემოკრატიული საქართველოს ფოთის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია

მე-4 გვ.



26 მაისს დაიბადა მერაბ კოსტავა-

საქართველოს ერთგული გმირი

საქართველო უყვარდა, საქართველოსთვის ეწამა მისი თავისუფლებისათვის იბრძოდა. თანამდებობები არ უძებნია, მხოლოდ ქვეყნის სატკივარი სჭირდა

შავლეგო, როგორ აკლიხარ ქვეყანას!

9 მაისს გილოცავთ

ქართულმა გენიამ მსოფლიო გადაარჩინა

9 მაისი –ფაშიზმზე– სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დღესასწაული

უთანასწორო ბრძოლა მოიგო რწმენამ, სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის თავგანწირვამ, სამშობლოს სიყვარულმა, რომელიც დროდადრო უფერულდება, რომ ეს ბრძოლა იყო უაზრო, რომ სხვის ომში დაიხოცა ქართველობა, და სხვის სამშობლოს იცავდა. მავანს დღემდე ვერ გაუგია ფაშიზმის არსი, რას გადაურჩა მსოფლიო ქართული გენიის წყალობით.

მე-4-გვ.

ჯერ კიდევ როდის იყო დემოკრატია საქართველოში

მეფის - ქალისა და წმინდანის, თამარის დღე

ევროპამდე კარგახნით ადრე ასე იწყებოდა დემოკრატია ჩვენში: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია" მეფედ კურთხევა თამარმა მიიღო დიდებულთა დარბაზის მხარდაჭერით. როგორც მეფეს დიდი უფლებები ქონდა, რაც უპირატესად მოვალეობაში გადადიოდა. ეს იყო სამშობლო, უფალი, ქართველი ერი, მისი კეთილდღეობა, კულტურის და განათლების სრულყოფა. დიდი მეფე გლეხს ათავისუფლებდა ყველა სახელმწიფო ვალდებულებისაგან, თუ „ვეფხისტყაოსანს" ზეპირად ისწავლიდა, რამეთუ იგი ბიბლიაა ჩვენი, ერის ღირსება. მის სიდიადეს მიეძღვნა „ვეფხისტყაოსნი". არადა, სად იყო ევროპა, როცა ეს გენიალური ნაწარმოები იწერებოდა.

თამარი კიდევ ერთხელ შეახსენებს ქართველობას ოქროს ხანას, რომელიც უნდა დავიბრუნოთ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი: წელს დაიწყება ფოთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი

მე-5 გვ.

გახსოვდეთ! *მრავალმილიონიანი ლექსიკა - ენის დიდ წარსულზე მიანიშნებს და მისი დიალექტებად აღიარება ან უმეცრებაა ან კიდევ - დაცინვა*

მძინარე არს ენა ლაზური დღესამომდე...

(პასუხი მეცნიერებს)

მე-6-გვ.

ქალთა აქცია ფოთში

2018 წლის 7 მაისს ფოთში, კოლხი დედის ძეგლთან პატიმარ სალომე მიქაძის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის ქალთა აქცია გაიმართა

მე-4 გვ.

„ფაზისის" აკადემიის სხდომა

26 მაისი – დიადი ისტორიის უცნობი ფურცლები

ალექსანდრე გვასალია: 1918 წლის მოღვაწეები და ქ. ფოთი

მე-3 გვ.

21-30 ივლისს ფოთი ქართველი და უცხოელი თეატრალების ყურადღების ცენტრში მოექცევა

მე-5 გვ.

ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა, იქნებ, დაინახოთ დემოკრატიულ ფასადს მიღმა ცრემლიანი საქართველო

ამ წერილს განა იმიტომ ვწერ, რომ თქვენ ეს არ იცით, ან ვერ ხედავთ რა ხდება ამ პატარა ქვეყანაში, არა, ჩვენ უბრალო ადამიანები, როგორ ვხედავთ და ვუყურებთ ცხოვრებას, ეს უნდა იცოდეთ. 30 წელი სულ შეცდომებზე ვიარეთ და დავრწმუნდით,რომ თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის არა ვართ მზად. ვერ შედგა სახელმწიფო, ვერ შედგა პარტიები, დემოკრატიის საფარქვეშ დიქტატურა მივიღეთ და „ნაცების" რეჟიმი. ეკონომიკა ყვაოდა, თურმე, და ქარხნები იხურებოდა, ჯართად გაზიდეს უნიკალური დანადგარები, დემოკრატია ყვაოდა და გაზეთები დახურეს, და ასე დაიქცა ქვეყანა, ვერც კაპიტალიზმი ავაშენეთ, რომელმაც ასევე არ გაამართლა და მსოფლიოს თავსატეხია. ჩვენ კიდევ ველური კაპიტალიზმის ეპოქაში ჩავრჩით. ის კიარა, ვერ გაგვიგია რა წყობა გვინდა-საპარლამენტო რსპუბლიკა ვართ, თუ საპრეზიდენტო,-საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს საერთო, სახალხო კენჭისყრით ვირჩევთ. ბევრი ასეთი ლაფსუსია ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. კონსტიტუცია კიდევ ვიღაცის უბის წიგნაკად იქცა, ხან პრეზიდენტს ქონდა დიდი უფლება, ხან-პრემიერს-ბარემ კონსტიტუციაში ჩაგწეროთ - პრეზიდენტს ვირჩევთ უვადოდ, როგორც მოსამართლეებს, თანაც გაზრდილი უფლებებით - როგორც სააკაშვილის დროს და ეს ცვლილებებიც- პრეზიდენტ-პრემიერის უფლებების გადათამაშება არ დაგვჭირდება.

ჩვენი დემოკრატიული წლები რევოლუციური აღტკინებით იყო გამორჩეული; სულ ვიღაცას ვამხობდით,რევოლუციებს ხალხის გაჭირვება ახდენდა და არა პარტიები. არადა, იმათ წასაღები წაიღეს, გაძარცვეს ქვეყანა, სანამდე უბედურების ბედნიერებით ცხოვრება, ხომ უნდა გვედირსოს ნორმალური ცხოვრება, სულ საარჩევნო რეჟიმშია ქვეყანა, ზვიადი მოკალით, ედუარდი, მიშა ჩამოვაგდეთ. ვითომ ხალხზე მზრუნველი ხელისუფლება არაფერს აგებს - 4 წელი თავის საქმეს აკეთებს. არა გვაქვს პასუხისმგებლობის მექანიზმი - „შევაწყვეტინოთ მოღვაწეობა". ესაა ვითომ დემოკრატიის უბედურება-იცვლება ხელისუფლებები, მთავრობები, ხალხის ცხოვრება - უცვლელია. მოკლედ, გადასარევი დემოკრატია გვაქვს, მაგრამ ეკონომიკა არა გვაქვს - ხალხი მათხოვრობს. სამაგიოროდ ღამის ეკონომიკას ავაყვავებთ. ისევ მიტინგები და დროშების ფრიალი... არ უნდა დამთავრდეს ხელისუფლებაში ქუჩიდან მოსულების ეპოქა? სანამდე იქნება პარტიები და პატრიოტიზმი (რათქმაუნდა ყველას არ ეხება) ვიგინდარების თავშესაფარი? ამათ, ვიდრე ხელისუფლებაში არიან უყვართ პარტია, წავლენ და არ ახსოვთ. ასე მივიღეთ ის რაც მივიღეთ, - ურაპატრიოტიზმის გამო დავკარგეთ ტერიტორიები, დაიღუპა ათასობით ახალგაზრდა, მავანი ომშიც ფულს აკეთებდა-აგრესორი რუსეთი გამოავლინა (ახალი ამბავი!). არადა, თურქეთი ძმაა, ტერიტორიების 60%-ი და 2-ჯერ მეტი მოსახლეობაც (ლაზებთან ერთად) იქეთ მხარესაა. თურქეთი დღესაც არ ისვენებს და დარჩენილ საქართველოს ბარე ნახევარსაც გვედავება, ეს არაა აგრესორი? და ნატო დასჯის ამ ნატოელს? ნუთუ ნატოთი უნდათ გადარჩენა იმ „ნაციონალებს", რომლებიც 10 წელი ქვეყანას ანგრევდნენ და ახლაც აგრძელებენ ნგრევას. და ვიდრე ესენი პარლამენტში და ხელისუფლებაში იქნებიან, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება. უკვე მიგვანიშნა ამის თაობაზე საქართველოს პატრიარქმა ილია II-ემ. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე სულიერ მთლიანობას უნდა მივაღწიოთ, იდეურ-სახელმწიფოებრივ მთლიანობას. და ვიდრე ქვეყანა და მისი კეთილდღეობა არ იქნება ყველას მიზანი, გამაერთიანებელი, ნურაფრის იმედი ნუ გვექნება. 200 პარტია ვითომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის „იღწვის", არადა, ქვეყანა ერთია, რომელიც პოლიტიკურ ველად იქცა და ყველა ცდილობს რაღაცის წაგლეჯას, არის გარიგება და კოჰაბიტაცია, ეს ქვეყანა ყველას გვეყოფაო,- უპატრონობამ სსრ კავშირი დაანგრია- ამოდენა სახელმწიფოს რა დააკლდებაო, - ყვლიფეს და ყვლიფეს და ასე მივიდნენ კრიზისამდე. ამიტომაა საჭირო კერძო საკუთრება, რაც შეიძლება მეტი მდიდარი ადამიანები - პატიოსანი ბიზნესმენები უნდა გვყავდნენ, მაგრამ ჩვენი უბედურება ისაა, ხალხი ღატაკი და უქონელია, არადა, ქონების გარეშე თავისუფლება არაფრის მაქნისია. ვიდრე არ შეფასდება 1990-1993 წლების მოვლენები და არ გასამართლდება სააკაშვილის ნეოფაშიზმი, არ გავაანალიზებთ განვლილ გზას, სულ ამ დღეში ვიქნებით. სამწუხაროდ, მედიის ნაწილი ისევ პროპაგანდას უწევს სააკაშვილის დიდ პოლიტიკოსობას, დამნაშავე გმირი გამოყავს, რაც სახელმწიფოს დაცინვა და შეურაცხყოფაა. წინა პლანზეა ვითომ ევროპული ღირებულებები, უზნეობის, ნარკომანიის და ბინძური სიტყვის თავისუფლება, ლიბერასტებისა და არასამთავრობოების, სოროსელების თავგასულობა, ღირსებიდან ინსტიქტებისკენ ექაჩებიან ქვეყანას და ასე მივედით ფრესკებიდან - დაცემამდე (თამარ მეფის დაცინვამდე). ვიღაცას ადამიანთა წონითი რეგულაციები და სიგარეტის მავნებლობა აწუხებს, ეს კარგია,მაგრამ სხვა პრობლემა არაა ამ ქვეყანაში? მოკლედ, ქვეყანა ცალკეა, პოლიტიკა-ცალკე, ეკლესია-ცალკე-და ხალხი ცალკე,ორად გაყოფილი და დაპირისპირებული ქვეყანა - ერთი რუსეთისკენ გარბის, მეორე - ამერიკისკენ, მათ შორის - ეკლესიის მესვეურები. არადა ქრისტე ღმერთი ერთია და არა დასავლურ-აღმოსავლური. აქაც შური და მტრობა.

ბატონო ბიძინა, ამ გათითოკაცებულ ქვეყანას თქვენ გააერთიანებთ?, -„თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის", შაჰ-აბასიც იმას ნატრობდა -„ღმერთმა ნუ ქნას ქართველებმა ერთად შეკრან პირიო." ნუთუ, არ დადგება ეს დრო? ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი!

საქართველოს ისტორიაში თქვენზე დიდი ქველმოქმედი არ ყოფილა, - 3 მილიარდი დაახარჯეთ ქვეყანას. დღეს რომ გიკიჟინებენ ისინი 3 ლარსაც არ გაიმეტებენ. - დაასახელონ ერთი გაჭირვებული, ვისაც დაეხმარნენ. შეიძლება დიდი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ კაცი არ იყო, მეეზოვე იყო და კაცობდე. როგორ გინდა მართო ქვეყანა ამ სატანას მოციქულების გარემოცვაში ღემოკრატიის და თავისუფლების სახელით რომ მანიპულირებენ, როგორ გინდა გადაარჩინო სამშობლო - ეროვნულობა, რომლის ცნებაც თანდათან ქრება და ქართველობაც დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა. ათასობით ადამინები- სამუშაოს მაძიებლები ტოვებენ ქვეყანას, მათ შორის უცხოეთში გადაიხვეწა ქალები, არადა, „ვინა თქვა უდედოდ გაზრდა შვილისა კარგისა". ვერ მოვუარეთ ჩვენს ქალებს, კაცები და ბავშვები ჩაის საკრეფად თურქეთში გადადიან, სხვები ევროპაში გადაიხვეწნენ. დაუსრულებელი სწავლა გაგვიგია, მაგრამ - დაუსრულებელი ცხოვრება? ევროპული ორიენტაცია, როგორც მოდაშია, ქვეყნის დატოვებას უნდა ნიშნავდეს? ჩინელებით, ინდოელებით და თურქებით გაივსო ქვეყანა, აღმაშენებლის პროსპექტიც რად აქციეს კარგად იცით. ესაა დემოკრატიის და თავისუფლების შედეგი?

მოკლედ იმის აღწერა რაც ჭირს ქვეყანას, ამ წერილში შეუძლებელია. იმის თქმა მინდა, რომ ერთი კაცი ამას ვერც ჭკუით და ვერც ფულით ვერ მოერევა, ან სანამ უნდა იყოს ერთ კაცზე დამოკიდებული ქვეყანა. ყოველი გაჭირვების ჟამს ღმერთი გვივგზავნიდა მხსნელს, და ეს იყო სააკაშვილის რეჟიმის დამხობა. თუმცა, სათანადო დასკვნები ვერ გაკეთდა, ჯერ იყო კოალიციური პარტიები, ურთიერთ ჭიდილი და კინკლაობა, ვერც „ოცნება" ჩამოყალიბდა, დემოკრატია, არჩევნები ძალაუფლებისათვის ბრძოლას, ხელისუფლების კეთილდღეობას ვერ გაცდა. ჩვენ გვიმარჯვეთ! - ტრაბახობენ, არადა, ხალხი როდის გაიმარჯვებს? პრემიერის აზრით საქართველოში სიღარიბე დაძლეული ყოფილა, რაც ამერიკამაც ვერ შეძლო. ეტყობა, ის არ იცნობს სიღარიბეს, რომ „იგი არის პატარა ჯვარცმა". არც შავი ჯიპების თეორით შეცვლა უშველის საქმეს. მინისტრი რომ ყოველ მეორე დღეს პრემიას იწერს - ჯამში ნახევრ მილიონს, ამას რა დავარქვათ? ბიუჯეტს აღარიბებს ჩინოვნიკების ათასობით პრემიები, მარეგულირებელი კომისიის წევრის ხელფასი 5-ჯერ აღემატება პრეზიდენტისას. ეს ხომ არის ნებადართული კორუფცია? ამ დროს ხსნიან სოციალურ დახმარებას. 30 წელია ბინა არ აღირსეს ტოლვილებს, ამ დროს დაკარგულ ტერიტორიებზე წუხან „ნაცები", არასამთავრობოები, გაერო, ეუთო, და ა.შ.

ასეთი პარადოქსების ყვეყანაში ვცხოვრობთ. დემოკრატიული ხელისუფლება ხალხს დასცილდა, ქვეყანა აკვარეუმს დაემსგავსა, თევზებივით პირს ვაღებთ და არ გვესმის ერთმანეთის. დემოკრატიამ არ გაამართლა, გარბის ქართველობა, ებრაელთა ბედი გვარგუნა განგებამ, იქნებ ესაა გზა ჯვარცმისა და გარდაუალი აღდგომისა. ჩვენთან არს ღმერთი? მაშინ საიდან ამდენი ფარსადან შადიმანი, აგენტი და გამყიდველი. თქვენ მარტო ამათ ვერ მოერევით, თუ გვერდში არ დაგიდგათ ეროვნული ძალები, პატრიოტი პროფესიონალები, ჭკუა თავშია და არა ხანში. დემოკრატიის თამაში დაღუპავს ქვეყანას საბოლოოდ, თუ უკვე დაღუპული არ არის. თქვენც მეორედ მოსვლა დაგჭირდათ, გამოდის ძალიან ცუდადაა საქმე, მაგრამ რომ არ ჯერა ბევრს?- „ყველაფერი არის ძლიერ კარგად,

ყველაფერი არის ძლიერ ცუდად". ბევრისთვის მართლაც არის თავისუფლებაც, დემოკრატიაც, ბედნიერებაც, მაგრამ ვის ხარჯზე? რუსთაველისახალი ბიბლიის ავტორის მშობელი ერი ქვეყანას ტოვებს და ევროპაში შავ სამუშაოს ეძებს. ბევრიც ქურდობს და ქვეყანას სახელს უტეხს. აქეთ ა,მერიკელები გვასწავლიან სამშობლოს სიყვარულს, დემოკრატიას, არადა ამათი ქვეყნის ხნის თქვენ ხეები გადაგაქვთ ბატონო ბიძინა, მაგრამ ყვრლაფერს ხომ ვერ ვიტყვით. სხვას რას ვერჩით, როცა ჩვენმა პრეზიდენტმა დებილებს შეადარა ქართველკი კაცი, თავის დიდი ბუნებით, სტუმარ-მასპინძლობით, გამორჩეული ხასიათით. არადა, პირიქით უნდა შეუძახო ხალხს, ნაკლიც შეახსენო და საბრძოლველად განაწყო, მაგრამ სადაა ეს განწყობა. ვინ დაუბრუნებს ხალხს ღირსებას, რწმენას. დღეს სამი საქართველო გვაქვს, ორი აქ დარჩენილი, გაყოფილ-დაპირისპირებული და მესამე საზღვარგარეთ მიმოფანტული. ღმერთო გვაღირსე სამივეს გაერთიანება, ღმერთო, ქართველებს შეაყვარე საქართველო. მავანი იმასაც ამბობს, რომ ქვეყნის გაღატაკება იმიტომ ხდება ხალხს რუსი რომ მოანატრონო, მაშინ „ნაცებს" გაუკეთებიათ ეს საქმე, უპირველესად,მაგრამ ისინი უფრო შორს წავიდნენ, რაც ამათ ქვეყნას უყვეს, რომელი რუსი გაუკეთებდა; თავისუფლების დღეს,26 მაისს, ხალხი ჩახოცეს,7 ნოემბერი სასაკლაოდ აქციეს, ლამის ნახევარი ქართველობა ციხეში მოამწყვდიეს, სპობდნენ ყოველგვარ ეროვნულს.

სამწუხაროდ,პარლამენტის თავმჯდომარესაც ვერ გაუგია რა არის ეროვნული ცნობიერება. ანუ რატომაა ქართველი, ფრანგი, იტალიელი, გერმანელი ჩინელი თუ ინდოელი. ევროპა პატივს სცემს ეროვნულ ღირებულებებს, აქ ინტელექტია, აქ პიროვნების თავისუფლებაა, სიტყვის თავისუფლება, ადამიანის პატივისცემა და არა ჩაგვრა. ხელისუფლება ხალხს ემსახურება, და არა - პირიქით, იქ ნამდვილი დემოკრატიაა, ჩვენთან არჩევნებზე ამომრჩეველთა 35/%-ი მოდის. თუ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს, სადაა აქ ხალხი? სიღარიბით მართვა შორს არ წაგვიყვანს, მათხოვრების ქვეყანაში ბედნიერი ვერ იქნები კაცი, და იმედით ცხოვრებასაც აქვს საზღვარი. იმედდაკარგული ხალხი კი ვერაფერს ღირებულს ვერ შექმნის.

საქართველოში ისევ მიდის ფარული ომი, რუსეთმა თავისი წაიღო, დანარჩენს მაერიკა დაეპატრონა და კიდევ არაერთი მეზობელი ფიქრობს რა წაგვართვას. სიფხიზლე, გამბედაობა, დიპლომატია და სახელმწიფო კაცები გვჭირდება, ხელისუფლების და სულიერების ერთობა, როგორც იყო აღმაშენებლისა და ჭყონდიდელის დროს. სიტყვამ მოიტანა და აღმაშენებლის ძეგლი აქამდე უნდა დაბრუნებოდა თავის ადგილს და არც ის უნდა გვაშინებდეს ვიღაცას მოსწონს თუ არა დიდგორობა. ნეტავ, კიდევ ერთი დიდგორი გადაგვახდევინა.

კვლავაც ვიმეორებ, ქვეყანა ერთ კაცზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა იმუშაონ გამართულად და ხელისუფლებაში ჭკვიანის თუ გიჟის მოსვლამ რყევები არ უნდა გამოიწვიოს. დემოკრატია პარტიისა და სახელმწიფოს შეზრდას არ უნდა ნიშნავდეს, სანამდე იქნება ქვეყანა ცდის პირი, სანამდის ვისხდებით დემოკრატიის მერხებთან?

ადრეული ეპოქის გადმონაშთები ჯერ კიდევ მძლავრობს, სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა და უშიშროება უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი ზეწოლისგან, უნდა ემსახურონ ხალხს და არა ხელისუფლებას. პოლიციური რეჟიმი ანგრევს დემოკრატიას, ნარკოპოლიტიკას, ნარკოტიკების ჩადება ერთგვარ კოზირად იქცა დანაშაულის გასაფორმებლად, ეს კანონის დამცველთა უდიდესი დარღვევაა, საზოგადოება ამ პროცესის რეგულირებას მოითხოვს, ნარკოგამსაღებლები უნდა დაისაჯონ, ყველა გზა უნდა გადაუკეტონ, მაგრამ რევანშის ისეთი ფორმა რაც სპეცნაზების მეშვეობით ხდება, ყოვლად მიუღებელია და შესაძლოა ისედაც სოციალურად გამწარებული ხალხი წონასწორობიდან გამოიყვანოს და სომხეთის მოვლენები განმეორდეს.

გულსატკენი ისაა, ევროპისკენ ნარკოტიკებით გაბრუებულები მივექანებით, მაინც რამდენი ყოფილან?-საქმე ვინ აკეთოს? ამერიკელი დალესის პროგრამაც ეს იყო - „თუ გინდა ქვეყანა დაიპყრო, გარყვენი ახალგაზრდობა". და კიდევაც ინგრევა ოჯახები, ინგრევა ქვეყანა, მთავარია სექსის, ნარკომანიის, ბინძური სიტყვის თავისუფლება!

ორიოდე სიტყვით ჩვენი ქალაქის შესახებ. ფოთი - საქართველოს საზღვაო კარიბჭე ტერმინალად აქციეს და 15 მილიონიანი ბიუჯეტია მისი ავლადიდება. თქვენ კი აგვიშენეთ რაგბის სტადიონი, მაგრამ ფეხბურთის სტადიონი წლობით არ გვეღირსა ე.წ. ტენდერების გამო, ფოთელ პროფესიონალებს აქვთ ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობის პროექტები, თუმცა, მათ არავინ უსმენს, არადა, ნიკოლაძეს არ შეეშლებოდა სად აჯობებდა პორტის მშენებლობა ფოთში თუ ანაკლიაში. აქ ყველა კომუნიკაცია არსებობს. სამწუხაროდ, ერთი ამწის ფასად გაიყიდა ფოთის ნავსადგური. იქნებ, დაინტერესდეთ და ქალაქს დაუბრუნოთ ძველი სტატუსი, ერთ დროს ხომ გვინდოდა მისი ფედერალურ ქალაქად გამოცხადება. ამ პატარა ქალაქში თითქმის ყველა დარგი იყო განვითარებული-საოკეანო თევზჭერა, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა და ა. შ. ირგვლივ ზღვა, ტბა და მდინარეებია და აქ როგორ უნდა შიოდეს კაცს.

ვერ ვიტყვით, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრო ყურადღებას არ გვაქცევს, კეთდება ზღვის სანაპირო ზოლი, კანალიზაცია, ხიდი რიონზე და ა.შ. ისიც სათქმელია, რომ ერთი სამინისტროს ხელში უზარმაზარი თანხებია თავმოყრილი, საჭიროა დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობებისათვის მეტი დახმარების გაწევა.

ფოთი ერთ დროს იყო ქვეყნის ეკონომიკის ლოკომოტივი.

რაც შეეხება ადგილობრივი პრესის გასაჭირს. ჯერ კიდევ არ არის გასაღების ბაზარი და თუ საზოგადოებრივი ტელევიზია ბიუჯეტიდან 50 მილიონით ფინანსდება, რეგიონებსაც უნდა შეეძლოთ ასეთივე საინფორმაციო საშუალებების შექმნა, რომელიც მოემსახურება სახელმწიფოს და არა ხელისუფლებას. სხვათაშორის, არანაკლები წვლილი მიგვიძღვის,„ნაცების" რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი მოსვლის დღიდან, გაზეთები, უამრავი სტატიები არის ამის დასტური, თუმცა, მერე არავის გავხსენებივართ, მაშინ, როცა ყველა და ყველაფერი ფინანსდება, რა დაეშავა ადგილობრივმა მედიამ.

ბატონო ბიძინა, პარტია კია გადასარჩენი მაგრამ ხალხიც გადასარჩენია, დაე, თქვენი პოლიტიკაში დაბრუნება იყოს ქართველობის დაბრუნების და გარდატეხების დასაწყისი ყველა პარამეტრებით.

პატივისცემით,

ზურაბ აბრალავა
გაზეთ „ნიკოლაძის გზით"
რედაქტორი

XX საუკუნე - საქართველოს 2-ჯერ დაკარგული დამოუკიდებლობა ერთმორწმუნე რუსეთის გამო

26 მაისი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეა -100 წლისთავი

ნუ დავკარგავთ შანს გავხდეთ ნამდვილად დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა

XX საუკუნის დასაწყისში, 1918 წელს მხოლოდ სამი წლით დაიხსნა თავი საქართველომ რუსეთისაგან, ახალმა იმპერიამ ისევ დაიპყრო ახლადფეხადგმული დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთის იმპერია კვლავ დაიშალა. 1991 წელს, 9 აპრილი ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა. ისევ აგრესია რუსეთისაგან და 2 წლის შემდეგ თითქმის სანახევროდ დავკარგეთ დამოუკიდებლობა, მიიტაცეს ტერიტორიები, ოღონდ გაუგებარი პერსპექტივით, სამწუხაროდ რუსეთის ორივე იმპერია ქართველებმა შექმნეს.

საფრთხეები გარე თუ შინაური მტრებისგან ისევ არ წყდება, ათასწლოვან ბრძოლებში გამოვლილი ქვეყანა თვალდახელს შუა პატარავდება, არადა, თავისუფლებას გაფრთხილება უნდა, სახეზეა შეცდომები, ქვეყნის დამოუკიდებლობა სამოქალაქო ომმა შეარყია. მიუხედავად პოლიტიკური სიჭრელისა, პარტიული სიმრავლისა, უნდა გვახსოვდეს ქვეყანა ერთია, რამაც უნდა გაგვაერთიანოს და ხალხი დანაშაულისა და ძალადობის ჭაობში არ უნდა ჩავითრიოთ, როგორც ეს გააკეთეს ,,ნაცებმა". დამოუკიდებლობის 25 წლიანმა ისტორიამ ბევრი გაკვეთილი დაგვიტოვა ფიქრისა და განცდისათვის, სახელმწიფო და პიროვნული თავისუფლება თანმხვედრი უნდა იყოს, კაცს უნდა დაედგომებოდეს თავის ქვეყანაში, არაფრის მქონე, დარიბი ადამიანი თავისუფალი ვერ იქნება, ის სხვაზეა დამოკიდებული მატერიალურად, ზნეობრივად. არ არსებობს თავისუფლება ეროვნების მიღმა. დამოუკიდებლობის აღდგენის დღე მხოლოდ თარიღამდე არ უნდა დავიყვანოთ. ერმა უნდა იგრძნოს თავისუფლების სიკეთე, რაც ასე იგვიანებს. თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ ადამიანთა ერთი ჯგუფისა და კასტისათვის არ უნდა იყოს ბედნიერების წყარო. ასე რომ, საფიქრალიავიზეიმოთ თუ გამოვფხიზლდეთ და გავაანალიზოთ საით მივდივართ, წინ თუ უკან? დამოუკიდებლობა თვითმყოფადობას გულისხმობს, არადა, ვერ მოვუარეთ ამ პატარა ქვეყანას. თავისუფლებას ზეიმობენ ისინი, რომელთა თავისუფლებაში არ შედის ქვეყნის თავისუფლების დაცვა. რელიგიური მრწამსის გამო, ბიბლიური თავისუფლების მოშველიებით არ მიდიან ჯარში, იქმნება ალტერნატიული ეკლესიები, ისე არიგებენ სასულიერო წოდებებს ახალ სკოლადამთავრებულები თითქოს საზრიანთა კლუბის თამაში იყოს. ეტყობა, ქრისტიანობაზე შეტევის ახალი ტალღა მოდის. დემოკრატიაა! - ჩემი უფლებაა მეყვარება თუ არა ქვეყანა, ადამიანები, შევქმნი თუ არა ოჯახს, ჩემი უფლებაა ვიმსახურებ თუ არა ჯარში. არადა, რამდენი თაობები შეეწირა ბრძოლებს, რათა აქამდე მოსულიყო საქართველო. ეს არის ხმლით შემოსაზღვრული ისტორია, აი, მათ არ იცოდნენ დემოკრატიის ფასი, რომ მათი უფლება იყო ერგოთ თუ ევნოთ ქვეყნისთვის. პატრიოტიზმი მათთვის უფლება და მოვალეობა იყო, სამშობლოს სიყვარული თავისთავადია, მარადიულია, თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს სიცოცხლის არტერიაა-როგორც უწყვეტი ძაფი, თითქოს სამშობლოსა და სიცოცხლის წყურვილის გარდა არაფერი დაგვიტოვა ღმერთმა - ,,სამშობლო როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა". თუმცა, არავინ იცის საით მიექანება ისევ ორად გაყოფილი საქართველო, პარტიული დაპირისპირება, იმედგაცრუება, არადა, ოცნებადაკარგულ ხალხს არასდროს უშენებია ქვეყანა. გაწყდა კავშირი თაობათა შორის, ადარ უსმენენ გამოცდილ ადამიანებს, რომ არაფერი ვთქვათ შორეულ წარსულზე. ერი, რომელიც, წარსულს, თავის ისტორიას პატივს არ მიაგებს კვდება. ქვეყანა, რომელიც დიდგორობისაქართველოს გადარჩენის დღის აღნიშვნას არ აპირებს (თურქებს ეწყინებათო) რა დამოუკიდებელია? არადა, დიდგორობა არის მარადი გენეტიკური შეხსენება ქართული სულის სიმტკიცისა, გაუტეხელობისა, ნიჭიერებისა. იქნებ გერმანელები გაუნაწყენდნენ რუსებს 9 მაისის დღესასწაულის გამო, მაგრამ მათ კარგად იციან რომ ფაშიზმი უპირველესად მათივე მტერი იყო, რომ ერთ დღეს ხმლისა მქნეველი ხმლითავე დაილეწების. 26 მაისი თავისუფლების, ეროვნული დამოუკიდებლობის დღესასწაულია. ამ დღეს დემოკრატმა ,,ნაცებმა" ქართველები ჩახოცეს - მშვიდობიანი მომიტინგეები. მავანი ყველაფერს აკეთებს ეროვნული სულისკვეთების ჩაკვლისათვის, შერყეულია რწმენა, ადათწესები, ქართული ხასიათი. არადა, რად გვინდა თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ეროვნების, ქართველობის გარეშე. ამას ისისც ემატება, რომ საგანგაშოა დემოგრაფიული ვითარება. 2050 წელს უმცირესობაში აღმოვჩნდებით. ქვეყანა დამოუკიდებელია, მაგრამ როგორც ჩანს ეს არ არის საკმარისი, მთავარი გვაკლია - ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ერთმანეთის სიყვარული. ყველაფერი კი სახელმწიფო სისტემაში უნდა მოექცეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ სხვა თვალსაზრისით. ყველაფერს იმას ნუ დავაბრალებთ, რომ კონსტიტუცია არ გვივარგა, არადა, ისრაელს, შვეიცარიას, ინგლისს არა აქვს იგი, თუმცა, ქვეყანა ყვავის. კონსტიტუცია გვქონდა სააკაშვილის დროს და საპრეზიდენტო რესპუბლიკაც, მაგრამ მივიღეთ ნეოფაშიზმი. რაშია საქმე? გამოდის მარტო ქარტია არ ყოფილა საკმარისი, ისევ ქვეყნის სიყვარული, ქრისტიანული რწმენა, სახელმწიფოებრივი აზროვნება და ერთობა თუ გადაგვარჩენს და არა პოლიტიკური აფერისტობა, ვითომ დემოკრატია, ვითომ პარტიები, ვითომ პრეზიდენტი, გათითოკაცება, მომხვეჭელობა, უსამართლობა, მოჩვენებითი კეთილდღეობა დაღუპავს ქვეყანას.

სახელმწიფოს აქვს თავისი ღირსება, კანონები, მრწამსი, იდეოლოგია. ეს ის გარემოა, სადაც იზრდება კაცი და ცდილობს იყოს ამ მოწოდების, ღირსების სიმაღლეზე. არადა, ქვეყანას ღირსება ნაკლებად აქვს და შესაბამისად - არც ადამიანებს. ,,ნაცებმა" მოახერხეს ამ უღირსი გარემოს შექმნა და მთავრობას კიდევ ბევრი თავსატეხი აქვს დასაძლევი, სანამ მათ არ მოვიცილებთ არაფერი გვეშველება, უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის გეოსტრატეგიული მდგომარეობა და არ დავზარალდეთ იმპერიებს შორის დავაში.

და მაინც, გულს ნუ გავიტეხთ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ვიყოთ იმ იმედით, რომ რუსეთიც ისწავლის ჭკუას, რამეთუ ცნობილია ,,რასიი უმომ ნე პონიატ", იქნებ, ჩვენც მოვეგოთ ჭკუაზე, გავერთიანდეთ, რამეთუ, ,,თუ მთელმა ერმა, გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის".

„ფაზისის" აკადემიის სხდომა

26 მაისი - დიადი ისტორიის უცნობი ფურცლები

ალექსანდრე გვასალია: 1918 წლის მოღვაწეები და ქ. ფოთი

გაიმართა ,,ფაზისის" აკადემიის მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა აკადემიის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა დოდო ხუხიამ, რომელმაც დამსწრეთ გააცნო სხდომის დღისწესრიგი, ალექსანდრე გვასალია- 1918 წლის მოღვაწეები და ქ. ფოთი.

აქვე გთავაზობთ მოხსენების შემოკლებულ ვარიანტს.

1918-1921 წლები უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს ისტორიაში,რომლებმაც შემდგომში განაპირობეს საქართველოს მომავალი. საინტერესოა, ამ პერიოდში ქ. ფოთში მიმდინარე მოვლენები.

აღსანიშნავია, რომ 1918 წლისათვის ქ.ფოთი იყო ძირითადი სატრანსპორტო დერეფანი რეგიონში. რკინიგზა აფხაზეთის მიმართულებით ჯერ კიდევ გაყვანილი არ იყო, ამიტომაც დანარჩენ სამყაროს საქართველო სწორედ ფოთის ნავსადგურიდან უკავშირდებოდა. ძირითადად ამ გარემოებებით იყო განპირობებული ქ.ფოთის სტრატეგიული სტატუსი.

ფოთი ასევე წარმოადგენდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ცენტრს. ეპარქიის ადმინისტრირება, სასულიერო, სამრევლო, საგანმანათლებლო კაკუთხით სწორედ ფოთიდან ხორციელდებოდა გურია-სამრევლოს ტერიტორიაზე.

1917 წლამდე გურია-სამრევლოს ეპისკოპოსი გახლდათ მიტროპოლიტი ლეონიდე ოქროპირიძე. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის საქართველოში სულ 3 ეპარქია არსებობდა. 1917 წელს, სწორედ ლეონიდე ოქროპირიძემ გამოაცხადა მცხეთაში საქართველოს დამოუკიდებლობა და რუსეთის ეკლესიისგან გამოყოფა, რაც ავტოკეფალიის აღდგენას ნიშნავდა. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის-კირიონის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ეკლესიის პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე გახდა.

ქ. ფოთის ისტორიაში, დიდ ნიკო ნიკოლაძეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი თაოსნობით შედგა ფოთი როგორც განვითარებული ქალაქი. 1918 წლის მოღვაწეებში ნ. ნიკოლაძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი. იგი ამჟამად უკვე აღარ იყო ქ. ფოთის მერი,მაგრამ აქტიურად იყო ჩართული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში. კერძოდ, აღსანიშნავია მისი ბრწყინვალე დიპლომატიური მოლაპარაკებები გერმანიასთან, რომელმაც სასიკეთო შედეგები გამოიღო-გერმანიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. ნ. ნიკოლაძის ძალისხმევით საქართველო გამოვიდა ამიერკავკასიის ფედერაციიდან. ამან ხელი შეუშალა და შეაჩერა საქართველოს ტერიტორიების ექსპანსია ოსმალეთის მიერ.

1918-1921 წლის მოვლენებს გაშუქებისას, სამწუხაროდ, ჯეროვნად არ არის შეფასებული ორი დიდი ქართველის-ლეონიდე ოქროპირიძის და ნიკო ნიკოლაძის დამსახურება, რომლებიც მოღვაწეობდნენ ქ. ფოთში და დიდი როლი შეასრულეს 1918-1921 წლების საქართველოში განვითარებულ მოღვაწეებში.

მავანი და მავანი ცდილობს 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტი, შემთხვევითობას და გარემოებების ბედნიერ დამთხვევას მიაწეროს. ის კი ავიწყდება, რომ ამ მოვლენას წინ უსწრებდა არაერთი აჯანყება იმპერიის წინააღმდეგ, 1832 წლის შეთქმულება, ილია ჭავჭავაძისა და სხვა ქართველი პატრიოტების უკომპრომისო ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ფოთელები სიამაყით შევახსენებთ საზოგადოებას, რომ ფოთში მოეწერა ხელი გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის დოკუმენტს.

ამით ჩვენმა ქალაქმა საკუთარი წვლილი შეიტანა, საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს გაძლიერებაში.

დასასრულს მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: ვაგნერ მხეიძე,პაატა გეგენავა, ჯემალ გერსამია და სხვები.

საქართველომ გიორგობა აღნიშნა

უძველესი ზესკისური მახედური ფაჩავდეს სრულიად საქართველოს

მოგვიანებით, წმინდა გიორგი რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს მხედართმთავარი გახდა. ქრისტიანებზე დევნის დაწყების შემდეგ იგი იმპერატორს განუდგა. კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდა გიორგის ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. უფლის შეწევნით წმინდა გიორგიმ მრავალი სატანჯველი დაითმინა, მათ შორის - ბორბალზე გაკვრა. მისი თხოვნით უფალმა მიცვალებული მკვდრეთით აღადგინა. წმინდანს 303 წელს თავი მოკვეთეს.

წმიდა გიორგი 30 წლის ასაკში ეწამა. იგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

ეკლესია წმინდა გიორგის ხსენებას ორჯერ დღესასწაულობს. 23 ნოემბერს მისი ბორბალზე წამების დღეა. ამ უკანასკნელ დღესასწაულს ქართული ეწოდება, რადგან სხვა ეკლესიებში საქართველოდან გადავიდა.

დემოკრატიული საქართველოს ფოთის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება--დემოკრატიული საქართველოს'' ფოთის ორგანიზაციის მორიგი საქალაქო კონფერენცია 2 მაისს გაიმართა, კონფერენციას ესწრებოდნენ დელეგატები, მოწვეული სტუმრები, პარტიის ხელმძვანელი სტრუქტურების წარმომადგენლები, პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოზემო სვანეთის მხარეში ლევან შონია, პარლამენტარები დიმიტრი სამხარაძე და გიორგი ბენაშვილი, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი ხახუბია, ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, საზოგადოების, სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები. კონფერენციაზე, პარტიის განვლილ სამუშაო პერიოდზე, შედეგებზე, ამოცანებსა და პერსპექტივაზე ისაუბრეს, ,,ქართული ოცნება--დემოკრატიული საქართველოს'' ცენტრალური ოფისის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, საქართველოს პარლამენტის წევრებმა ბატონებმა დიმიტრი სამხარაძემ და გიორგი ბენაშვილმა. ქალაქ ფოთში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე ისაუბრეს პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელოზემო სვანეთში ლევან შონიამ და მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ხახუბიამ. კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიმდინარე წელი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებებით, რომ ახლოვდება ფრიად საპასუხისმგებლო ეტაპი-საპრეზიდენტო არჩევნები, რისთვისაც პარტიასა და მის თითოეულ წევრს განსაკუთრებული მზადყოფნა მართებს. ითქვა, რომ განსაკუთრებით საგულისხმოა პარტიის ლიდერად ბატონ ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების პერსპექტივა, რაც, უთუოდ ახალ სტიმულს მისცემს პოლიტიკური ორგანიზაციის სრულ შემადგენლობას და ხელს შეუწყობს მთლიანად ქვეყანაში სასიკეთო პროცესების განვითარებას. კონფერენციამ აირჩია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს'' ფოთის საქალაქო ორგანიზაციის პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა. პარტიის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე კონფერენციამ კვლავ ნდობა გამოუცხადა ირაკლი კაკულიას. საქალაქო კონფერენციაზე აირჩიეს მოქალაქეთა პოლიტილური გაერთიანება ,,ქართული ოცნება--დემოკრატიული საქართველოს'' მორიგი ყრილობის დელეგატები.

9 მაისი ფოთში

2018 წლის 9 მაისს, 73-ედ აღინიშნა, მსოფლიოს ყველაზე დიდი ბოროტების, ფაშიზმის დამარცხება.

ჩვენ იმ ერის შვილები ვართ, ყველა ეპოქაში, მსოფლიოს ყველაზე სასტიკ დამპყრობლებსაც რომ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ სამშობლოს. ამიტომაც არავის უკვირს, რომ პატარა საქართველოდან 700 ათასი მეომარი წავიდა ფრონტზე. ამათგან 300 ათასმა ბრძოლის ველზე დალია სული.

მათ შორის იყვნენ ჩვენი ქალაქის მკვიდრნი. 11 ათასი ფოთელიდან, 2 ათასი ჯარისკაცი შინ არ დაბრუნებულა.

სწორედ მათ სახელებს ინახავს ეს მემორიალი.

განსაკუთრებული მოწიწებით ვულოცავ ამ დღეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ჩვენს სახელოვან ვეტერანებს და ქედს ვიხრი მათ წინაშე.

ჩვენი ვალია განსაკუთრებით ვიზრუნოთ მათზე, სათანადო პატივი მივაგოთ, ყველა პირობა შევუქმნათ ღირსეული და დაფასებული ცხოვრებისთვის.“ –ასე მიმართა ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ დიდების მემორიალზე შეკრებილ საზოგადოებას.

ქალაქის ხელისუფლებამ, საზოგადოებასთან ერთად დიდების მემორიალი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკო.

ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ფოთის საკათედრო ტაძარში, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა სულის მოსახსენებელ პანაშვიდს დაესწრო.

ხელმძღვანელმა პირებმა, ვეტერანებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, გრიგოლ დარჯანიასა და ალექსანდრე ვაშალომიძის საფლავებზე მიიტანეს ყვავილები.

ომის ვეტერანებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები და დასასრულს მათთვის გაიმართა საზეიმო ვახშამი.

ქალთა აქცია ფოთში

2018 წლის 7 მაისს ფოთში, კოლხი დედის ძეგლთან პატიმარ სალომე მიქაძის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის ქალთა აქცია გაიმართა

აქციის მონაწილეებმა შეიმუშავეს მიმართვის ტექსტი და გაუგზავნე საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

მიმართვა

ჩვენ პატიმარ სალომე მიქაძის უფლებათა დაცვის და მხარდაჭერის ფოთის ქალთა აქციის მონაწილენი ვაპროტესტებთ ,,ბევრილი ჯგუფი”-ს მიერ განხორციელებული თაღლითური სქემის მსხვერპლის, შემდგომში ეკონომიკურ დანაშაულში ბრალდებით I-ი ინსტანციის ზუგდიდის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს - 7 წლით პატიმრობას.

30 წლის სალომე მიქაძე ინგლისური ენის პედაგოგია, არის 5-წლის ვაჟის მარტოხელა დედა, ბავშვი რამდენიმე თვეა სახელმწიფომ იძულებით დატოვა უდედოდ, ბედის ანაბარა. ვინაიდან სხვა ნათესავები არ ჰყავს, გარდა დედის ხანდაზმული პენსიონერი ბიძისა.

სამხარეო პროკურატურა კი ქმნის დაბრკოლებებს და აჭიანურებს პატიმარ სალომე მიქაძესთან საპროცესო გარიგების გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა, პროცესუალურად ყველა ამისი წინაპირობა უკვე არსებობს.

ჩვენ მმივმართავთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, პატიმარ სალომე მიქაძის, როგორც 5 წლის ბავშვის მარტოხელა დედის მიმართ განახორციელოს კანონით დადგენილი შეღავათი, რაც ითვალისწინებს საპროცესო გარიგებით ალტერნატიულ პირობით სასჯელს.

ასევე მიმართვის ტექსტი გადაეგზავნა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს და საქართველოში არსებულ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას.

აღნიშნულ მიმართვას ხელს აწერენ აქციის მონაწილეები.

მსოფლიოს უკანასკნელი ომის უკანასკნელი გაელვება

ომი, მამა და სამშობლო

პეტრე ფაჩულია –გმირი, ქერჩის მარადი ბინადარი

,,ჭაბუკები დარჩნენ მარად”

გამარჯვების დღესასწაულს სიამაყის განცდასთან ერთად მოაქვს ტკივილები, უშუალოდ ომის მონაწილეთა თავსგადამხდარი ამბების გახსენება და მწვავე განცდები, -რაც გადაიტანეს, ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნა,-დარდი ოჯახზე, მიტოვებულ შვილებზე, ყველგან მეფობდა გაჭირვება, შიმშილი, სიცივე... სიკვდილის აჩრდილები... მაგრამ იყო იმედი, იმედი გამარჯვებისა მსოფლიოს ყველაზე დიდ ომში, რომელსაც კაცობრიობა უნდა ეხსნა ფაშიზმისგან. ქართველი ვაჟკაცები ამ ომში თავიანთ პატარა ქვეყანასაც იცავდნენ, იცავდნენ თავიანთ ოჯახებს, შვილების მომავალს. ათასობით ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე შორეულ ტრამალებში თუ ბერლინის მისადგომებთან ჩაიფერფლა. მათ შორის გმირულად დაიღუპა პეტრე ფაჩულია, რომლისთვისაც სამშობლოს დაცვა იყო უპირველესი ვალი, ვალი - სიცოცხლის ფასად...

იგი ქერჩის მისადგომებთან გმირულად დაიღუპა, სრულიად ახალგაზრდა, რომელიც უსაყვარლეს ქალთან ქორწინებიდან რამდენიმე თვეში ომის გზას გაუდგა და შვილიც შეეძინა, თუმცა, მასთან შეხვედრას ვერ მოესწრო და არც შვილს უნახავს ჯარისკაცი მამა, მხოლოდ ათეული წლებია კედლიდან დასცქერის მისი ჭაბუკობის სურათი. მარლენ ფაჩულია დღეს ახალგაზრდა მამაზე ბევრად უფროსია და როგორ ნანობს, რომ მისთვის მამის დაძახება ვერ მოახერხა, ისე, ჩუმად, გულში ეფერება და თავისთვის იტყვის-მე მამაჩემი ვარ!

პეტრე ფაჩულია სენაკის საფინანსო განყოფილების გამგედ მუშაობდა, სრულიად ახალგაზრდა კაცს დიდი მომავალი ელოდა, მეუღლე ნორა არჩაია სოფლ ეკის სკოლის დირექტორად მუშაობდა. ომში წავიდა მარადი ქმარი და მარადი სიყვარულის ლეგენდაც თან გაიყოლა. ჯარისკაცის ქვრივი ქვრივად დარჩა, როგორც მარადი ცოლი, მოუკლეს საყვარელი ადამიანი, მაგრამ ვერ მოკლეს სიყვარული, როგორც შეწყვეტილი სიმღერა. მარტოხელამ ატარა მძიმე უღელი. მისი ცხოვრებაც გმირობის ტოლფასია, მაღალი ზნეობის ქართველი ქალის მაგალითია. ერთადერთი იმედი დედისთვის პატარა ბიჭი იყო-მამის ალი-კვალი-სიცოცხლის გაგრძელება, რომელმაც ღირსეულად ატარა ვალი მამის დიდი კაცობისა. ისწავლა, იშრომა, ჯარიც მოიარა და საზოგადოებაშიც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. მარლენ ფაჩულიას კარგად იცნობენ ფოთელები, როგორც კარგ ხელმძღვანელს, სპეტაკ პიროვნებას, კაცს მრავალმხრივ განათლებულს, დიდ პატრიოტს, ნამდვილ მამულიშვილს, ნაღდ ფოთელს. მეუღლეც ღირსეული ყავს-ქალაქში ცნობილი ქალბატონი მზია ბახტაძე-მეორე საჯარო სკოლის დირექტორი, ღირსების ორდენოსანი, ფოთის საპატიო მოქალაქეა. ყავთ სამი შვილი -თამარი, ეკატერინე და პეტრე-ბაბუას მოსახელე, იგი დღეს პარიზში მოღვაწეობს და იქაურ ქართველობასთან ერთად სამშობლოს საკეთილდღეოდ ყველაფერს აკეთებს.

ბედნიერია ოჯახი, ცხოვრება გრძელდება, სიცოცხლის ძაფი არ წყდება, ოღონდ ესაა რომ არა ყავთ მამა და ბაბუა.

დავყურებ ფრონტიდან გამოგზავნილ ერთადერთ სურათს-უწვერულვაშონი, ზოგი თითქოს ბავშვია, არცაა საჯარო. რამდენ რამეზე მეტყველებს ეს ფოტო - ომი თუ მშვიდობა?! განა საკითხავი ეს არის? -რისთვის დაიღვარა უმანკოთა სისხლი? სიცოცხლე სიცოცხლის წილ! თითქოს გვეუბნებიან -იცოცხლეთ ჩვენს მაგივრად და ,,გვაპატიეთ დანაშაული არ დაბრუნების”.

9 მაისი - გაზაფხულის 73-ე გაელვება - გამარჯვების დღესასწაული ქართველმა გენიამ მოუტანა მსოფლიოს. 73-ე გაზაფხული მამის გარეშე, ამ დღეს სევდაც ახლავს, სინანულიც და მოფერებაც-როგორა ხარ, მამა, გამარჯვების დღეს გილოცავ!

,,გაშალა ველი ნელმა ნიავმა,
და მეღანდება მე მის წიაღში,
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასხლავით ხელში დადის
ვენახში.
აქ თითო ყლორტი და თითო
ლერწი
მასზე ოცნებას დაემგვანება,
ისევ აყვავდა მდელო და კორტი,
დავდივარ, ვწუხვარ და მენანება”.

მამა წელს 98 წლის გახდებოდა...

ზ. აბრალავა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი: წელს დაიწყება ფოთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი

წელს დაიწყება ფოთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი - მდინარე რიონზე ფოთის ხიდის მშენებლობა. ამ პროექტის ღირებულება 50 მილიონი ლარია. რეგიონში ჯამში 7 ახალი ხიდი აშენდა."

"გასულ წელს გავხსენით მალთაყვას სანაპირო ზოლის ნაწილი. ამჟამად მშენებლობის მეორე ეტაპი მიმდინარეობს, რომელიც შემოდგომაზე დასრულდება. პროექტი გაგრძელდება და ის მთლიანი სანაპირო ზოლის კეთილმოწყობას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ ფოთმა, საპორტო ქალაქთან ერთად, საკურორტო ქალაქის სტატუსიც შეიძინოს."

დიდტიტულოვანი პატარა მოჭადრაკე

ალექსანდრე გარუჩავა

ბვჯეჰა, მაღე ბავა დიდ ასპიჰეზზე და საქაჰთველოს ასახელებს



მართლაც ამოუცნობია ადამიანის ფენომენი, შესაძლებლობები: ბუნება ტალანტს, ნიჭს, გენიას იმთავითვე დაანათლავს კაცს და ისიც გზას მიიკვლევს ცოდნით, გამოცდილებით ახალი ასპარეზისაკენ. საღი აზროვნება, გათვლები, რისკი, ნებისყოფა და სხვა უამრავი დადებითი თვისება, არაფერს ვამბობთ უდიდეს შრომის მოყვარეობაზე, რომელიც ასე ახასიათებს მომავალ დიდოსტატს ალექსანდრე გარუჩავას. რომელიც ასე განივთებულია მის ხასიათში. რამდენი დატვირთვა, პასუხისმგებლობაა - პატარა ბიჭი დიდ ბრძოლაშია ჩართული და მისგან ახალ გამარჯვებებს მოელიან. მან უნდა ასახელოს სკოლა, ქალაქი, ქვეყანა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გარემოში იზრდება ბავშვი. ზოგადი ოჯახური კულტურა, განათლება, გენეტიკური წარსული და ხასიათი. ამ მხრივ მართლაც გამორჩეულია ალიკა (ალექსანდრე) გარუჩავას და მარინა ხოფერიას ოჯახი, რაც ცალკე საუბრის თემაა... მაგრამ მოკლედ ვიტყვი - ესენი არიან ქალაქის სახელოვანი ადამიანები, სამაგალითო, პიროვნული და მოქალაქეობრივი პოზიციით. მათთვის ყველაზე დიდი სიხარული და ბედნიერება შვილიშვილის წარმატებაა. ისინი სიამაყით გვათვალიერებინებენ ორდენებით, მედლებით სიგელებითა და თასებით გადაჭედილ ოთახებს, ნუთუ ეს ყველაფერი 10 წლის ალექსანდრე გარუჩავას საკუთრებაა, როდის მოასწრო, რა ძალამ და ნებისყოფამ იმძლავრა ასე. დიდი საჭადრაკო სამყაროს პირისპირ დგას უტეხი ნებისყოფის შორეული მწვერვალებისაკენ მიმავალი ფენომენალური პიროვნება. მართლაც დიდი გადასახედია განვლილი გზისა.

ალექსანდრე გარუჩავა მე-3 საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეა. 5წლიდან საჭადრაკო სკოლა „ნანას" აღსაზრდელთა შორისაა, გულთბილად იხსენება პირველ მასწავლებლებს გელა ღვამბერიასა და გიორგი ღლონტს, ამჟამად გოჩა ჩაჩუა წვრთნის. ჯერ კიდევ 7 წლის ასაკში მონაწილეობდა ბავშვთა მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც სერთიფიკატით დაჯილდოვეს. 2015-2018 წლებში წარმატებულად გამოდის სხვადასხვა ტურნეებში, წესლ 14 აპრილს სამეგრელო-ზემოსვანეთის 10 წლამდე ასაკის საჭადრაკო ჩემპიონატში კვლავაც პირველი ადგილი დაიკავა. თავისუფალ დროს უყვარს მოგზაურობა, ადამიანთა გაცნობა, ძალიან მეგობრული და კომუნიკაბელურია, საიდუმლოს მხოლოდ ბებოს მარინა ხოფერიას უმხელს. დიდი სპორტული ბიოგრაფიის პატრონი ახალი ბრძოლებისთვის ემზადება, ეს მხოლოდ გზის დასაწყისია, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ალექსანდრე არაა ის კაცი, წინააღმდეგობებს შეუშინდეს, მის თვალებში კრთის მიზანდასახულობისა და შეუპოვრობის ჟინი.

მშობლები ასევე დიდი მეგობრებია მისთვის, დედა-თამარ ცხადაია, მამა თეიმურაზ გარუჩავა დღეადაღამ მზრუნველობას არ აკლებენ და ყოველმხრივ უწყობენ ხელს პატარა ალექსანდრეს დიდ ასპარეზზე გასასვლელად.

დიდტიტულოვანი პატარა მოჭადრაკე მხოლოდ ამ ოჯახს არ ეკუთვნის, იგი ჩვენი ქალაქის ღირსეული შვილია, ამის განაცხადი მან უკვე გააკეთა. არის უამრავი ჩემპიონატის პრიზიორი.

კიდევ გაზარდოს დედამა, უნებურად წამოგცდება, მაშ გზა დავულოცოთ ჭადრაკის დიდი მწვერვალებისაკენ პატარა ალექსანდრეს.

ზ. ნარაძე

ქართული გენია ცეკვაში განფენილი ცეკვავენ ვარსკვლავები ალექსანდრა და გიორგი ჯორბენაძეები

ფოთში სამეჯლისო ცეკვების სკოლის კარგი ტრადიციები ჩამოყალიბდა. ბევრი სახელგანთქმული მოცეკვავეები აღიზარდნენ აქაურ სტუდიებში. ქართულ გენშია განფენილი საოცარი ცეკვა და სიმღერა, როგორც ამას დიდი მწერალი გრიგოლ რობაქიძე იტყოდა. მთავარია ხელი შევუწყოთ ნიჭის აღმობრწყინებას პატარების დიდ ასპარეზზე გასასვლელად. ალექსანდრა და გიორგი ჯორბენაძეები უკვე ცნობილი არიან ცეკვის სამყაროში. ალექსანდრა (დაბადებული 2002 წელს) 11 წლის ასაკში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ასპარეზობის ჩემპიონი გახდა. ასევე წარმატებულია ძმა გიორგი ჯორბენაძე (დაბადებული 2006წელს) იგი არაერთი პრესტიჟული კონკურსის გამარჯვებულია.

აღსანიშნავია, რომ ორივენი 4-5 წლის ასაკიდან ცეკვავენ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით მშობლებს, მაია ჯორბენაძე გერსამიასა და აწ გარდაცვლილ გია ჯორბენაძეს. უდიდესი სიხარულით ხვდებიან ყოველ მათ გამარჯვრებას ბებია მარგარიტა ბაბროვა-გერსამია და ბაბუა ჯემალ გერსამია. მათ არ ახასიათებთ შვილიშვილების წარმატებებზე საუბარი, მაგრამ საკმარისია შეიხედოთ პატარების ოთახებში, სადაც მედლებისა და სიგელების ჯარს გადაეყრებით. მართლაც რამდენი მონდომება და ტალანტია ამ პატარა ვარსკვლავების ცხოვრებაში. გიორგი საქართველოში გამართული მრავალი ტურნირების მონაწილე და პრიზიორია. ასევე ტაიკვანდოში არის ვერცხლის მედლის მფლობელი, ამჟამად ვარჯიშობს კრივში და ცეკვის ხელოვნება აქაც წაადგება, ალბათ.

ალექსანდრა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, არაერთხელ აიღო თასი „კოლხეთი", მონაწილეობდა საერთაშორისო ასპარეზობაზე ღია ჩემპიონატებში და მრავალი პრიზის მფლობელია. წელს აპრილში საქართველოს ღია ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ის არის ხელოვნების ფესტივალის 6 გზის ღაურეატი და გრამპრის მფლობელი.



ქების ღირსნი არიან მათი პედაგოგები თამაზ და ლაშა თოდუები, ლევან მაშავა, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ პატარების ნიჭის რეალიზაციისათვის.

წინ დიდი გზაა ვარსკვლავური სამყაროსაკენ და წარმატებები ვუსურვოთ ფოთელ ტალანტებს.

თამბაქოს მოხმარების რეგულაციები ახალი კანონით გაკონტროლდება

ფოთის მუნიციპალიტეტის მერია შეუერთდა საქართველოში წამოწყებულ კამპანიას, თამბაქოს მოხმარების რეგულაციებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციულ შენობაში გამოიკრა პლაკატები, რომელიც მოქალაქეებს თამბაქოს მოხმარებისაგან თავის შეკავებას ურჩევს. აქცია ქალაქის მერი გოჩა კურდღელია და მერის პირველი მოადგილე მამუკა პაპასკირი შეუერთდნენ.

2018 წლის 1 მაისიდან კაფე-ბარებში, რესტორნებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევა იკრძალება. თავდაპირველად ძალაში შევა თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონის მუხლი, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეში, დახურულ ადგილებში მოწევას კრძალავს. აკრძალვა შეეხება ფაქტობრივად ყველა დახურულ სივრცეს, გარდა, კერძო საცხოვრებელი ბინებისა (თუ ისინი ოფისებად არ გამოიყენება), კაზინოებისა, სიგარბარებისა, სადაც მხოლოდ სიგარის მოწევა დაიშვება და არა სიგარეტის, ამასთან, აკრძალული იქნება საკვების გაყიდვა.

თამბაქოს კონტროლის კანონის თანახმად, კაფე-ბარების, რესტორნების, დამის კლუბების და პაბების მენეჯერები ვალდებული არიან წინასწარ გააფრთხილონ სტუმრები დახურულ სივრცეში მოწევის აკრძალვის შესახებ. თუ რომელიმე სტუმარი მაინც მოწევს, მათ უნდა მიუთითონ და ყოველგვარი ღონე იხმარონ მოწევის შეწყვეტის შესახებ. კონფლიქტური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში უნდა გამოიძახონ საპატრულო პოლიცია. დაუმორჩილებელი მოქალაქე დაჯარიმდება 50 – 100 ლარის ოდენობით, ან მისი საკითხი წვრილმანი ხულიგნობის მუხლით განიხილება. იმ შემთხვევაში, თუ სამასპინძლო ბიზნესის ობიექტის პასუხისმგებელი პირები დახურულ სივრცეში თამბაქოს გამოყენების ფაქტზე გულგრილობას გამოიჩენენ, სამასპინძლო დაწესებულება პირველ ჯერზე 500 ლარის ოდენობით დაჯარიმდება. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დახურულ სივრცეში თამბაქოს მოხმარების აკრძალვას მონიტორინგს არასამთავრობო სექტორიც გაუწევს.

21 –30 ივლისს ფოთი ქართველი და უცხოელი თეატრალების ყურადღების ცენტრში მოექცევა

21 – 30 ივლისს ფოთი ქართველი და უცხოელი თეატრალების ყურადღების ცენტრში მოექცევა. ქალაქი, წელს მეოთხედ, რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს

მასში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე ინგლისიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, ლიტვიდან და რუსეთიდან ჩამოსული დასები. მასტერკლასებს გამართავენ მსოფლიოს ცნობილი თეატრმცოდნეები.

თეატრების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ტარდება.

საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია ფესტივალის ორგანიზატორს, კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდ „ღღეს" დირექტორს, ნინელი ჭანკვეტაძეს შეხვდა.

სამადლობელი

მშენებლები – დიდი საქმის ჩუმად მკეთებელი კეთილი ადამიანები

ბოლო დროს მშენებლობის ზრდის ტენდენცია შეინიშნება ქალაქში-ოფისები, ბანკები, კაფე-ბარები, მარკეტები, თანამედროვე დიზაინით მართლაც გამორჩეული არიან, კარგია როცა პროფესიონალები უძღვებიან საქმეს და ყოველნაირად ცდილობენ გაალამაზონ ქალაქი, რომელიც გამორჩეულია თავისი უნიკალური გეგმარებით.

უკვე მრავალი წელია მშენებლობის პროფესიას კარგად დაუფლებულები- მებათქაშეები, მწყობლები, სანტექნიკოსები, გადახურვის სპეციალისტები - ზაურ ბასილაია, ოთარ მუზარაშვილი, ბადრი შენგელია ცნობილი მშენებლის ვალოდია მსხილაძის ხელმძღვანელობით ერთგულად ემსახურებიან ქალაქს. დაუზარელი, შრომისმოყვარე, მართლაც ოქროს ხელებიანი ოსტატები განუყოფელი მეგობრები არიან, ერთმანეთის ლხინისა და ჭირის მოზიარე და ამავე დროს დიდებული ოჯახისა და შთამომავლების პატრონები.

ჩვენ იშვიათად გვახსენდება უბრალო ადამიანები-თავის საქმის უბადლო ოსტატები, დიდი საქმის ჩუმად მკეთებელი, უპრეტენზიო, ალალი და უღალატო ადამიანები.სწორედ ასეთ მშრომელ კაცებზე დგას ქვეყანა. ჯანმრთელობას, სიხარულს და წარმატებას ვუსურვებთ ქალაქის მშენებლებს.

გახსოვდეთ! მრავალმილიონიანი ლექსიკა - ენის დიდ წარსულზე მიანიშნებს და მისი დიალექტებად აღიარება ან უმეცრებაა ან კიდევ - დაცინვა

მძინარე არს ენა ლაზური დღესამომდე...

(პასუხი მეცნიერებს) გაგრძელება

ავტორი წიგნისა: ,,აფსირტედან გამსახურდიამდე, ანუ აწმყოს უდაბნოში"- პროფ. ტარიელ ფუტკარაძე თავის რელიგიური ჭვრეტით თვალთახედვით აცხადებს: ,,მეორედ მოსვლის დღემდე ქართული ენა დაცული (შენახული) იქნება, რათა ყველა სხვა ენასა და ერს უფალმა ამ ენით ამცნოს მეორედ მოსვლის საიდუმლო ეს ენა მძინარეა (შენახულია) დღემდე და სახარებისა შინა ლაზარე ქვია".

მინდა გითხრათ: პროფ. ტ. ფუტკარიძის რელიგიური ჭვრეტით თვალთახედვა ,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი" -,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი" აცდენილია შინარსობრივ და ტექსტოლოგიურ არს,რომელიც გადმოჩხაბილი აქვს მე-Xს. მოღვაწე ბერს- იოანე ზოსიმეს, მეIV ს. მოღვაწე იოანე ბერისაგან, სადაც სრულად დაცულია ,,ქებაის" ტექსტში აღნიშნული ყოველი სიტყვა. ასევე მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო იოანე ზოსიმეს მიერ გამოთქმულ სიტყვებს: ,,ჩემი უღირსი ხელით გადმოვჩხაბე", რაც არა ცუდ კალიგრაფიაზე მიუთითებს, არამედ ძვ.ქართულზე, და იგი გადმომზეურებას ნიშნავს. ანუ ერთი სამზეოდან,(მხედრული) ხუცურზე გადმოტანას, (გადმომზეურებას). სადაც, ღიად, (და არა ქარაგმულად) მითითებულია ლაზური ენის დამარხვის–მიძინების შესახებ! და, მისი ქართული ენით ჩანაცვლება უდიდეს მკრეხელობაა! ვინაიდან, ქართულ ენას მხილებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართულ ენას თავისი მისია არ გაჩნდეს, ქართული ენის მისია უდიდესია!!! რადგანმან იღო უფლობა ლაზარეს ადგომამდე,რაზეც მოწმობს ქუჯის და ფარნავაზის ზე ღვთაებრივი დიალოგი, როდესაც ქუჯი, (ღვთის განგებით) აუწყებს ფარნავაზს: (მერამდენედ მიწევს ამის გამოერება) ,,შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა და შენ გმართებს უფლობა ჩემი... საუბარია ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე, სადაც სახელმწიფოს წარმმართველი, (სახელმწიფო ენა) ქართული იქნებოდა, რის შემდგომ, ქართულმა ენამ იღო ჯვარი-მართლმადიდებლისა და იგი შეუდგა მოწამეობრივ, გზას-ლაზარეს აღდგენამდე! აი, ეს ვერ გაუგიათ, ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ,,ქებაი"-ს არასწორი განმარტებით არიან დაკავებულნი.

ასევე ყურადღების არეალში ხდება პროფ. ტ. ფუტკარაძის მეტად გაუგებარი განმარტება, როდესაც იგი ენა ქართულს თვლის ლაზარედ: ,,ეს ენა (ქართული) მძინარეა (შენახულია) დღემდე და სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან". კეთილი და პატიოსანი! მაგრამ, როგორ აგვიხსნის (განმარტავს) ტ. ფუტკარაძე და სხვანი... თუ ქართული ენა ლაზარეა, მაშინ რატომ მიიჩნევენ ლაზურს (მეგრულსა და სვანურს) კილოკავად, დიალექტად ან (კიდევ უარესი) ჩამორჩენილ საოჯახო ენად?! საინტერესოა, პროფ. ტ. ფუტკარაძის რელიგიური ჭვრეტითი თვალთახედვა აღნიშნულთან დაკავშირებით.

შემდეგ: ,,როგორც ქრისტეს მეგობარი ლაზარეში არის დაცული მეორედ მოსვლის საიდუმლო, ასევე ქართული ენაც, ვითარცა ლაზარე ინახავს გაცხადების საიდუმლოს"...

ამ ნაწილში, (რაც დიდ გაკვირვებას იწვევს) პროფესორი ფუტკარაძე საერთოდ აცალკევებს ერთიმეორისგან ქარათულსა და ლაზურს. ვფიქრობ, პროფესორის ასეთი ფორმით ჭეშმარიტი ისტორიულ-რელიგიური ძეგლის განმარტება შემთხვევითი როდია... მაგრამ ის ისე ღრმად შეიჭრა თავისი რელიგიური ჭვრეტითი-თვალთახედვით ,,ქებაი"-ს ტექსტის სიღრმეებში, რომ მისდაუნებურად ლაბირინთებში აღმოჩნდა, სადაც ბოლომდე დარჩა, რასაც ასევე მოწმობს მისი შემდგომი ტექსტის განმარტებანი...

,,ოთხი დღისა მკვდარი იმიტომ თქვა დავით წინასწარმეტყველმან, რომ უფლისათვის ათასი წელი ერთი დღეა,შესაბამისად, ლაზარეს ოთხი დღით დაფლვა ქართული ენის ოთხიათასწლოვან არსებობას ნიშნავს". კატასტროფულად არასწორ განმარტებასთან გვაქვს საქმე. პირველის, რომ დავით წინასწარმეტყველის, ,,ფსალმუნში",არსად არ არის მოხსენიებული: ,,ოთხი დღის მკვდარი"-ეს სიცრუეა! მეორე რაც შეხება დავითის სიტყვებს "უფლისათვის წელი ათასი-ვითარცა ერთი დღე".აქაც არაფერია ნათქვამი და ნაგულისხმევი ქართული ენის ოთხიათასწლოვან არსებობაზეესეც სიცრუეა!

"სული წმინდა, (როგორც თავისი ,,ჭვრეტით" გავუწყებს პროფ. ტ ფუტკარაძე) ქართული ენის,ქართველური მოდგმის მეშვეობით განახორციელებს თ ვის მისიას, როდესაც ამხელს კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს". ამასთან დაკავშირდებით მინდა ვუპასუხო პატ. პროფესორს, სული წმინდა არა ქართული ენის და ქართველური მოდგმის მეშვეობით ამხელს მსოფლიო ცოდვილ კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს, არამედ თავად სული წმინდა იქნება ყოველი ცოდვილთა მამხილებელი დღიდან–დღედმდე! ასე ამობობს უფალი: ,,და როდესაც ის მოვა, ამხილებს წუთისოფელს ცოდვის, სიმართლისა და სამსჯავროს გამო". (იოანე 16.8)და კიდევ: ,,მე ვარ ანი და ჰაე,პირველი და უკანასკნელი,დასაბამი და დასასრული". (გამოც.22.13) როგორ ფიქრობთ, წმინდა წერილები უფრო სარწმუნოა თუ, თქვენი ეწ."რელიგიური თვალთახედავა?!

იოანე ზოსიმეს - ,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი"–ს გადმომჩხაბელი გვამცნობს: (დამარხულ არს ენაი ლაზური დღესამომდე მეორედ მოსვლისა მისისა, საწამებლად (დასამოწმებლად),რაითა ყოველთა ენასა ღმერთმან (სული წმინდა) ამხილოს ამ ენითა"ანუ სული წმინდა (დედა ღვთაება ენა ლაზური) ანი და ჰაე სამყაროს შემქმნელი სიტყვა აცხადებს: ,,და იქმნას ნათელი"ეს ენა არს დამარხული დღედმდე, რომლის ანბანი ცოდვილთა კაცობრიობისაგან საგულდაგულოდ ლაზი მამების (ქურუმები) დაფლული დამარხული არს უფლის მეორედ მოსვლამდე და არა ქართული, რომლის ღვთიური ანბანი ხილული არს დღიდან–დღედმდე!

სულიწმინდას, რომელსაც უფალი მოავლენს წუთისოფლის განსასჯელად, რადროს განკითხული იქნებიან: ყოველი ტომნი, ენანი და ერნი. გამორიცხავს, რომელიმე ერის მსაჯულის ფუნქციის მინიჭებას.

მართალია, დედამიწაზე ყველაფერი შედარებითია, მათ შორის ცოდვაც, (ზოგს მეტი აქვს, ზოგს კი ნაკლები. არის ცოდვა მომაკვდინებელი და არის ცოდვა არამომაკვდინებელი. მაგრამ ღვთის წინაშე ცოდვა ცოდვად ითვლება, და აქ, გნებავთ ნაკლებ ცოდვიანს მიეცეს წუთისოფლის განმკითხველის უფლება ყოვლად დაშვებულია. თორემ რა გამოდის, დღევანდელი მეცნიერების წვდომით-ჭვრეტის უნარით, მსოფლიო ცოდვილი კაცობრიობის, (წუთისოფელი) მსაჯული სულიწმინდა კი არ ყოფილა, არამედ ცოდვილნი, ანუ ნაკლებ ცოდვების მატარებელი ერი, ეს ხომ სიცრუეა და ჭეშმარიტი ღმერთის უარყოფაა. ღმერთს მისცეს ხედვა ლაბირინთებიდან გამოსვლის, რომ შემდგომ არც საკუთარი თავი და არც სხვა ჩააგდოს უნებლიე ცოდვაში.

რაც შეეხება იბერიულ მოდგმის ხალხებს (რასას იბერიულს), დიახ, ეს გახლდათ ჩვენს ისტორიამდე ღვთის მაღალი სულიერების მატარებელი ცივილიზაცია, რომლის დეკადანსი იწყება 3001 წლის პირველი ნახევრიდან, რაც ლაზარეს მიძინებას უკავშირდება და წინ იწევს მკვეთრად დაბალ საფეხურზე მდგომი ინდოევროპული კაცობრიობა, რომელიც დღემდე მართავს მსოფლიოს. მოხდა ამ ცივილიზაციათა ათასწლეულების მანძილზე შერწყმა, რამაც შემდგომ ღვთის წინაშე უდიდესი დაცემა გამოიწვია. მიუხედავად ამისა იბერიული რასა ითვლება (თავიდან) ღვთის გამორჩეულ მოდგმად, რომელსაც არა აქვს ჩადენილი მომაკვდინებელი ცოდვა და ყველაზე მთავარი,ამ მიდგომიდანაც ღმერთი გამოარჩევს თავის ერს,(და არამარტო ამ მოდგმის ხალხებისგან), ვინც დაიცვა ღვთის სიტყვა ღიდან ღედმდე! ასე ამბობს უფალი: ,,ვიხილე ტახტები და მათზე მსხდომარენი, და მათ მიეცათ სამსჯავრო და იესოს მოწმობისა და ღვთის სიტყვისათვის თავმოკვეთილთა სულები, რომლებმაც თაყვანი არ სცეს მხეცს, არც მის ხატებას და არ მიიღეს მისი ნიშანი თავიანთ შუბლსა და ხელზე. ისინი გაცოცხლდენ და მეფობდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს." (გამოცხ. 20.4) რაც შეეხება ქართველ ერს, მის სულიერ მისიას ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, ეს არის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვა, რასაც მოწმობს ქართული ენის (ერის) სულიერ მოწამეობრივი გზა ლაზარეს აღდგომამდე. ამ მოდგმამ (ქართველი ერი) ღირსებით გაიარა, (მიუხედავად არაერთი შეცოდებისა.) გზა ეკლიანი გოლგოთისკენ, ჯვარცმის და გარდუალი აღდგომის. (ზე. გამსახურდია).

ხოლო, ყოველ ცოდვათა მამხილებელი დღიდან, ვიდრემ უკანასკნელ ღღედმდე არის ანაი ლაზური! რის შესახებ, გარკვევით გვამცნობს ,,ქებაი"-ს ტექსტი: ,,და სახარებასა შინა ქართულსა თავსა, ხოლო მათესა წერილი ზის, რომელი ასოი იტყვის ოთხი ათასსა მარაგსა".

მათეს წერილი გვამცნობს, რომ ყოველი ასო, ლაზური ანბანისა ოთხიათასი მარაგის, ანუ ოთხიათასი ინფორმაციის მატარებელია, რომელსაც საიდუმლოდ ინახავს ლაზური ენა და მასში საიდუმლოდ შენახული ინფორმაცია, წინასწარ გვაუწყებს კაცობრიობის მიერ განვლილ გზას დღიდან - ღღედმდე, რომლის გახსნის შემდგომ მოხდება მსოფლიო ცოდვილთა განკითხვა, რის შესახებ გვამცნობს ,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი", რომელიც მძინარე არს დღესამომდე...

ნიკოლოზ იბერი
ფოთი

ნოსტალგია

პირველი და უკანასკნელი

არავინ არ იფიქროს რომ წარსულის ნოსტალგია მაწუხებდეს და მას მივსტიროდე, მაგრამ თქვენი დემოკრატიიდან ცოტა მეტს ველოდი.

ამ პატარა წარსულის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ, ზოგი მშობლებს გაიხსენებს, ზოგი კი წინაპრებს.

მე, როგორც სპორტის მუშაკი და მისი დიდი გულშემატკივარი, მინდა მოგითხროთ ერთი პატარა წარსულის ისტორია, რომელიც ზუსტად 60 წლის წინ მოხდა და ის ასახავს ქ. ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის სპორტულ ცხოვრებას.

ქ. ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი გაიხსნა გასული საუკუნის 30-იან წლებში, ტექნიკუმის კურსდამთავრებულებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ადგილების დაშრობისა და აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ხრიოკი მიწების მორწყვისა და ირიგაციის საქმეში.

ტექიკუმის დიდ პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად სტუდენტთა რიცხვი 600 მოსწავლეს აჭარბებდა. ძირითადად ტექნიკუმის კონტიგენტი დაკომპლექტებული იყო როგორც აღგილობრივი, ასევე საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან,კერძოდ გორიდან, კასპიდან, ქარელიდან, გურჯაანიდან, თელავიდან, გალიდან, ოზურგეთიდან, აბაშიდან, ლანჩხუთიდან და სხვა რაიონების მოსწავლე ახალგაზრდებით.

ტექნიკუმის ცხოვრებაში უდიდესი ადგილი ეკავა ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდას, რომელსაც სათავეში ედგა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გივი თალაკვაძე. ტექნიკუმში ფუნქციონირებდა მძლეოსნობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, კრივის, სიმძიმეების აწევის, მაგიდის ჩოგბურთის და ჭადრაკის სექციები. ტექნიკუმს გააჩნდა ერთი დახურული დარბაზი და ორი კალათბურთის და ფრენბურთის ღია მოედანი.

მინდა ავღნიშნო, რომ 1954 წელს საქართველოს პირველობა ვაჟებსა და ქალებში ჩატარდა ქ. ფოთში ტექნიკუმში არსებულ მოედანზე, და აქ პირველად ფოთელმა მაყურებელმა იხილა საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი-ოთარ ქორქია, მოთამაშეების ნოდარ ჯორჯიკიას, ლევან ინწკირველის და სხვების თამაშის უმაღლესი კლასი. ოთარ ქორქია იყო ნამდვილი კალათბურთის ლეგენდა.

მე ჩემს წერილში მინდა მოგითხროთ, სპორტის ერთი, კერძოდ, კალათბურთის შესახებ.

1957 წლის ივნისის თვეში ჩატარდა საქართველოს პირველობა, რესპუბლიკაში არსებული ტექნიკუმებს შორის ქ. ზუგდიდში თავი მოიყარეს, გორის, თბილისის, გურჯანის, რუსთავი, სამტრედიის, დიდი-ჯიხაიშის, სოხუმის და სხვა რაიონების 14-გუნდმა. წარმატებით იასპარეზა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის კალათბურთელთა გუნდმა დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე, დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა საგზური საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც დაგეგმილი იყო ქ. ლენინგრადში (ამჟამად სანქტ-პეტერბურგი).

ტექნიკუმის გუნდმა უკეთ მომზადების მიზნით გაიარა 3 კვირიანი შეკრება და 10 კაცის შემადგენლობით 24 ივლისს მატარებლით გეზი აიღო ლენინგრადისაკენ. 27 ივლისს ჩავედით ქ. მოსკოვში, სადაც შევჩერდით 4 დღით, მოვეწყვეთ სასტუმრო ,,ზარია"-ში.

1957 წლის 29 ივლისს ქ. მოსკოვში გაიხსნა VI მსოფლიო ახალგაზრდული სპორტული ფესტივალი, სადაც თავი მოიყარეს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 134 ქვეყნის 34 ათასმა ახალგაზრდამ, ფესტივალი გაიხსნა ახალ აშენებული, ,,ლუჟნიკი"-ს სტადიონზე, რომელიც 105 ათას მაყურებელზე იყო გაანგარიშებული. ეს იყო გრანდიოზული სპორტული ღონისძიება, რომლის მსგავსი საბჭოთა სპორტის ისტორიას მანმადე არ ახსოვდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც სპორტსმენები, ასევე მომღერლები, მოცეკვავეები, მოდელიერები, მხატვრები და ხელოვნების სხვა მუშაკები.

1 აგვისტოს ჩავედით ქ. ლენინგრადში, სადაც თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკიდან და რუსეთის სხვადასხვა რეგიონიდან 24 გუნდმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოთელ კალათბურთელებს, რომლებსაც არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ და პირველად ღებულობდნენ მონაწილეობას საკავშირო შეჯიბრებაში. წარმატებით იასპარეზეს და 24 გუნდს შორის მე-4 ადგილი დაიკავეს.

აი, ვინ იცავდა ფოთის ტექნიკუმის ღირსებას საკავშირო შეჯიბრებაში: გუნდის მწვრთნელი ბუჭა გუგუციძე, გუნდის კაპიტანი ზაური ჭედია, მოთამაშეები: ძმები-ალბერტი და ზაური ჩაჩავები, ვლადიმირ ქოიავა, ანზორი ჭანტურია, ბესლან ქორქია, ჯოჯი ბუკია.

გუნდის ხელმძღვანელი ტექნიკუმის დირექტორი გრიგოლი კვაშილავა, გუნდის ექიმი, დირექტორის მეუღლე რუსუდან კვაშილავა.

საუბედუროდ ბევრმა მათგანმა დატოვა წუთისოფელი, მხოლოდ ბესლან ქორქია და ამ სტრიქონების ავტორი შემოვრჩით ამ ქვეყნად.

ეს იყო ქ. ფოთის ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის ისტორიაში პირველი და უკანასკნელი საკავშირო შეჯიბრება. ვინაიდან გასული საუკუნის 90-იანი წლების დატრიალებულმა მოვლენებმა როგორც სხვა ბევრი ობიექტი და სასწავლებელი, ფოთის ჰიდრო-ტექნიკუმიც მოიყოლია ორომტრიალში, ცოდნის ამ ტაძარში სამუდამოდ ჩაქრა შუქი, შეწყდა ახალგაზრდა გოგო-ბიჭების სიცილ-კისკისი და მე-20 საუკუნის დასასრულს ტექნიკუმმა არსებობა შეწყვიტა.

ამ სტრიქონებს რომ ვწერდი, გულზე სევდა მომეძალა, გამახსენდა ჩემი აღმზრდელი პედაგოგები., რომლებმაც მთელი მათი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდა კადრების აღზრდას და მათ დაკვალიანებას შესწირეს. დიდი სიყვარულით და პატივისცემით მინდა გავიხსენო ტექნიკუმის დირექტორი გრიგოლ კვაშილავა, სასწავლო ნაწილის გამგე თამარ ქოიავა, პედაგოგები: შალვა შეროზია, შალვა დოლბაია, ნუნუ რომანაშვილი, ფუთუ და ვალოდია ლაღიძეები, მიშა კიღურაძე, ვახტანგი გაგუა,გივი თალაკვაძე, ქეთო აბუაშვილი, შურა ნადარაია, ვარლამ ბასილია, თამარ შუბლაძე, ნინო ბოლქვაძე, ეთერ ნიქაბაძე, საქმეთა მმართველი-ნორა გეგენავა, ბუღალტერი-თინა გუჯაბიძე და სხვა. ვინც გამომრჩა ბოდიშს გიხდით.

ამ წერილის დასასრულს მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ტექნიკუმის მთელი პედაგოგიური კოლექტივიდან ცოცხლად დარჩენილ ერთად-ერთ ულამაზეს ქალბატონს ლუდმილა აბაშიას, რომლის სილამაზე ბიჭებს კი არა გოგონებსაც შეშურდათ, წელს თებერვლის თვეში 90 წელი შეუსრულდა.

ქალბატონო ლუდმილა,

1957 წლის კურსდამთავრებულები: თენგო გოგია დალი აბლოთია, რეზო ქობალავა და ამ სტრიქონების ავტორი-გულით და დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების 90-ე წელს. გისურვებთ თქვენს შვილიშვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ტკბილ და საამურ ცხოვრებას,ღმერთმა იმიტომ არ გაგწიროთ რომ ჯერ კიდევ სჭირდებით ახალგაზრდობას ჭკუის მასწავლებლად.

გიორგი (ჯოჯი) ბუკია-
სპორტის ოსტატი, საქართველოს
დამსახურებული მწვრთნელი

ხელოვნება

არჩილ ხორავა - 90

კვალი ნათელი

იყვნენ ადამიანები, რომლებიც უპრეტენზიო, უხმაურო ცხოვრებით მიუყვებოდნენ თავის გზა-სავალს, ჩუმად, მოკრძალებით აკეთებდნენ საქმეს და კვარივით იყოდნენ სხვათა სასიკეთოდ. ასეთ ადამიანთა შორის ეგულვით ფოთელებს გამოჩენილი ლოტბარი, ხელოვანი, ღვაწლმოსილი პედაგოგი არჩილ ხორავა, რომელიც მრავალი წელი ედგა სათავეში ქალაქ ფოთის ცენტრალურ სამუსიკო სკოლას. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ბატონმა არჩილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული ფოლკლორული მუსიკის განვითარება – პოპულარიზაციის საქმეს. მის ხელში ფოთელ მუსიკოსთა თაობები გაიზარდნენ და დაფრთიანდნენ. დაუვიწყარია და მარადის კრძალვით მოსაგონარი ღვაწლმოსილი ხელოვანი.

მიმდინარე წლის 14-15 აპრილს, როდესაც ჩვენს ქალაქში სახალხო დღესასწაული - ,,ფოთის დღეები – 2018'' ჩატარდა, ერთ – ერთ შთამბეჭდავ ღონისძიებად სწორედ არჩილ ხორავას 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო – კონცერტი გახლდათ, რომელიც მისსავე სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის დიდ დარბაზში ხალხმრავალი აუდიტორიის თანდასწრებით ჩატარდა.

სასწავლებლის ფოიეში, კონცერტის დაწყებამდე, საზოგადოება ინტერესით გაეცნო ფოტოგამოფენას, რომელიც მნახველს გამოჩენილი ხელოვანის შემოქმედებით ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვიზუალურად მოუთხრობდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი დარჯანია. საიუბილეო საღამოს წამყვანმა, სასწავლებლის დირექტორმა ლია ეჯიბიამ გულთბილად ისაუბრა არჩილ ხორავას შემოქმედებაზე, მის მემკვიდრეობაზე, მანვე დამსწრეთ გააცნო ცნობილი ქართველი ხელოვანების – გივი მუნჯიშვილის, ანზორ ერქომაიშვილის, მაია ჩაჩავას, არჩილ უშვერიძის მისასალმებელი ბარათი. საღამოს ესწრებოდნენ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები, ხელოვანის ახლო ნათესავები, ნამოწაფრები, ბატონი არჩილის ქალიშვილი, კომპოზიტორი რუსუდან ხორავა. კონცერტზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სასწავლებლის მოსწავლეთა გაერთიანებული გუნდი ეთერ დანელიას, მაია წირღვავას, გია გურგენაძის ხელმძღვანელობით, ქალთა ტრიო, ნორჩი პიანისტი ლიკა ცაავა, ბავშვთა სალოტბარო სკოლის გუნდი იროდი ტიკარაძის ხელმძღვანელობით, შესრულდა ქალბატონ რუსუდან ხორავას ნაწარმოებები. იყო ბევრი თბილი სიტყვა, ღიმილიანი მოგონება და პატივგების წრფელი გრძნობა ღვაწლმოსილი ხელოვანისადმი. დასასრულ ქალბატონებმა რუსუდან ხორავამ და ლია ეჯიბიამ გულთბილი მადლობა გადაუხადეს საზოგადოებას მობრძანებისა და საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის დარბაზში ჩატარებულმა საღამომ ცხადად აჩვენა, რომ არდავიწყების მადლი ადამიანებს ღვთიური სიკეთით მოსავს, ხოლო ამაგდარი მოღვაწისაგან დატოვებული კვალი ნათელი, დღესაც გზას უნათებს თაობებს.

აქვე გთავაზობთ ჩვენი საპატიო თანამოქალაქეის, არჩილ ხორავას ქალიშვილის, კომპოზიტორ რუსუდან ხორავას მოგონებებს.

მამაჩემის, არჩილ ხორავას, როგორც ლოტბარის, ფოლკლორისტისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრება ულამაზესსა და უმშვენიერეს მოგონებად დარჩება მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მისი ცხოვრება ჩემთვის, მომავალი კომპოზიტორისათვის ერთგვარი ეტალონი გახლავთ, მოღვაწე კაცისა, რომელიც სულსა და გულს არ იშურებდა თავისი საქმისათვის. სიყვარულით ვიგონებ ქ. ფოთში გატარებულ ზამთრის გრძელ ღამეებს, როცა ბუხარს მივუსხდებოდით: მე, ბებია (დედის მხრიდან), მამა, დედა და გვიანობამდე ვმღეროდით ხალხურ სიმღერებს. ერთმანეთს ენაცვლებოდა ჩონგური, ფანდური, გიტარა. სწორედ რომ საოცარი სულიერებით აღსავსე, ამაღლებული სიმღერები ჩამისახლდნენ სულში და ლოცვად დამკვიდრდნენ მთელს ჩემს არსებაში. სიმღერები, რომლებიც სიკეთითა და სიყვარულით მავსებდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ მამამ მაზიარა ფასდაუდებელ, ულამაზეს და უმშვენიერეს საგუნდო ესთეტიკას. ამაზე ამაღლებული ჩემს ბავშვობაში არაფერი მომისმენია. ყოველივე ეს უკავშირდება მის თავგანწირულ შრომასა და უთვალსაჩინოეს დამოკიდებულებას თავისი საქმისადმი, რომელიც უპირველესი გახლდათ მისთვის, როგორც ლოტბარისათვის.

მოკრძალებით ვამაყობ ჩემი წარმომავლობითაც: ჩემი მამის ბებია (გრიგოლ ხორავას დედა) მენიკი, მამიდაჩემის გადმოცემით, ცნობილი მეჩონგურე ყოფილა მთელს დასავლეთ საქართველოში. ჩემი ორივე ბაბუა, გრიგოლ ხორავა და შალვა ჩხეიძე, მომღერლები იყვნენ. გრიგოლ ბაბუას ახლო ურთიერთობა ჰქონია ცნობილ ლოტბარ კირილე პაჭკორიასთან. შალვა ჩხეიძეც არაჩვეულებრივად ასრულებდა ,,კრიმანჭულს'', იგი წლების განმავლობაში მღეროდა სენაკში ცნობილ ლოტბარ რემა შელეგიას გუნდში (არსებობს ფოტო მის გუნდთან ერთად გადაღებული).

გრიგოლ ბაბუას დებიც და ძმებიც მუსიკალური ნიჭით ყოფილან დაჯილდოებულნი, ამაზე მეტყველებს თუნდაც მამაჩემის ბიძის, მიხეილ ხორავას, ფოტო, რომელიც გადაღებულია ქ. ფოთში 1919 წელს გუნდთან ერთად. ჩემი ბიძაშვილებიც მუსიკალური ნიჭით გამოირჩევიან და ჩინებულად მღერიან.

არჩილ ხორავა მრავალმხრივი საუკეთესო თვისებებით იყო შემკული. ის იყო შესანიშნავი მამა, სიყვარულითა და სიცოცხლით სავსე. ორატორი, ლექსებისა და მოთხრობების ავტორი, შესანიშნავი მონადირე, არაჩვეულებრივი თამადა, მეგობრებისა და ნათესაობის დიდი მეგობარი და ქომაგი. საკუთარი შვილებივით უყვარდა მუსიკალური სკოლის პედაგოგები, იმ სკოლისა, სადაც ხშირად უბრალო მუშის საქმიანობით დაკავებულს ნახავდით.

მთელი ჩემი ცხოვრება, ყმაწვილქალობა დაკავშირებულია გუნდთან და მხოლოდ გუნდთან. კომპოზიტორის შემოქმედების ქვაკუთხედი ხომ მუსიკალური ფოლკლორი გახლავთ, რომელზედაც უნდა აშენდეს საკუთარი შემოქმედება. ამდენად, ჩემს სამშობლოში აღმოცენებული ხალხური მუსიკა ერთგვარი ძლიერი საყრდენია მომავალი კომპოზიტორისათვის.

ამა მთელი დამეები მუშაობდა, ხვეწდა ექსპედიციებში ფირზე ჩაწერილ სიმღერებს. როცა წამოვიზარდე, მეც დავყვებოდი ექსპედიციაში სამეგრელოს უღამაზეს სოფლებში და ბედნიერება მქონდა, შევხვედროდი ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლებს. ასე რომ. მინდოდა თუ არა, გუნდს შინ და გარეთ ვუსმენდი.

საგუნდო ჟანრის საოცარ სიყვარულს, შესისხლხორცებულსა და ჩემს სულში დამკვიდრებულს, ემატებოდა ოჯახში გაბატონებული სილაღე, სისადავე, უფლის სიყვარული, ტოლერანტობა – ვფიქრობ, რომ ამ თვისებებს, გუნდთან ერთად, მუსიკოსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში ჩემი სულისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

წავიდა ამ ქვეყნიდან და დამიტოვა ტკივილით სავსე გული, რომელსაც მონატრება ჰქვია.

დაუვიწყარია ის დღე, როდესაც ქალაქის საზოგადოება ეთხოვებოდა ჩემი მამის ცხედარს. მახსოვს როგორი სიყვარულითა და მწუხარებით უგალობდნენ მომღერლები მათთვის სისხლხორცეულსა და ჭაპანწყვეტით დალეულ კაცს, ჭეშმარიტად ღირსეულ სულს, რომელიც სანთელივით ენთო მის მშობლიურ მიწა-წყალზე.

რუსუდან ხორავა
კომპოზიტორი
ქ. ფოთი, 2018 წლის აპრილი

მუსიკის სამყაროში

ფოთელი ნორჩი პიანისტის მორიგი წარმატება

ჩვენი ქალაქის ახალბედა ხელოვანთა შორის, ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებულია არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების წარჩინებული მოსწავლე, არაერთი ეროვნული და საერთაშორისო კონკურს - ფესტივალის ლაურეატი, ლიკა ცაავა (პედაგოგ ლია ეჯიბიას კლასი). მიუხედავად მოსწავლეობისა, ლიკამ უკვე შეძლო საკუთარი სამუსიკო იმიჯისა და საშემსრულებლო ბიოგრაფიის შექმნა. იმდენად მასშტაბურია და პრესტიჟული მის წარმატებათა არეალი, რომ ბევრ გამოცდილ პიანისტსაც შეშურდება. რა თქმა უნდა, ყოველივე ამის ფაქტორი ნიჭიერება და კლასიკური მუსიკის დაუცხრომელი სიყვარულია, მეცადინეობა და შთაგონებაა, რაც თავისთავად მისი პედაგოგის, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო პიანისტისა და მასწავლებლის, სახელოვნებო სასწავლებლის დირექტორის, ქალბატონ შუშანა (ლია) ეჯიბიას დამსახურება და თავდაუზოგავი შემოქმედებითი შრომის შედეგია. ბარსელონა, პეზარო, ბაქო, თბილისი, ბათუმი, ლაურეატობის მისამართები თანდათან იზრდება. ამჯერად ფოთელმა ნორჩმა პიანისტმა ყაზახეთის ქალაქ პავლოდარში გამართულ კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე გაიმარჯვა, რომელიც ცნობილი კომპოზიტორის სერგეი რახმანინოვის 145 წლის იუბილეს მიეძღვნა. აღნიშნული ფესტივალი, თავისი წარმომადგენლობით, საკონკურსო მოთხოვნებითა და რეპერტუარიტ, საკმაოდ რთული და დაძაბული იყო, თუმცა, ჩვენმა პიანისტმა ჩინებულად გაართვა თავი საფორტეპიანო-საკონკურსო ამოცანებს და თავისი დახვეწილი შესრულებით, ჟიურის მაღალი შეფასება, და, შესაბამისად, ლაურეატობა დაიმსახურა. ამ დღეებში კი, ლიკა ცაავა, თავის პედაგოგთან ერთად, თურქეთის ქალაქ სიდეშია მიწვეული კლასიკური მუსიკის კონკურს-ფესტივალზე, სადაც, უეჭველია, საგულისხმო შედეგს მიაღწევს.

ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს ნორჩ პიანისტთან ლიკა ცაავასთან, რომელიც თურქეთში გამგზავრებამდე ჩავწერეთ:

-ლიკა, პირველ რიგში გილოცავთ გამარჯვებასა და აღიარებას, როგორია შენი საზღვარგარეთული შთაბეჭდილება?

-მადლობა, იტალიისა და ესპანეთის შემდეგ, არ მეგონა, თუ შუა აზიიდან, კერძოდ, ყაზახეთიდან ამგვარად მდიდარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდებოდი. ყაზახეთი თითქოს არ არის ცნობილი სამუსიკო სამყაროში, მაგრამ ასე არ გახლავთ. ამ ქვეყანაში სამუსიკო ხელოვნებას უდიდეს ყურადღებას აქცევენ, საკმაოდ მუსიკალური ხალხია, ეს რახმანინოვის სახელობის ფესტივალმაც აჩვენა, რომელზეც უძლიერესი ჯგუფები იყვნენ წარმოდგენილნი, და, რაც უმთავრესია, მოთხოვნები იყო ზედმიწევნით მკაცრი და რეგლამენტირებული. ჩემთვის დიდი პატივია ამგვარ ასპარეზობაზე მონაწილეობა.

- პავლოდარამდე იყო ბაქო, იქაც წარმატება, რას იტყვი მეზობელ ქვეყანაზე?

-შემიძლია იგივე ვთქვა, რაც ყაზახეთზე მოგახსენეთ. რა თქმა უნდა,

აზერბაიჯანელები ჩვენი ახლობელი ერია, კეთილი მეზობელია, მაგრამ კონკურსი, მაინც კონკურსია. ულამაზესია დედაქალაქი ბაქო, ხელოვნებას განსაკუთრებულად ეპყრობიან. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც გულშემატკივრობასა და თანადგომას არ მაკლებენ. მადლობა ქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ბატონებს გოჩა კურდღელიას, ირაკლი კაკულიას, გიორგი ფარეშიშვილს, იმ მეცენატ ადამიანებს, ვისაც კარგად აქვს გაცნობიერებული სამუსიკო ხელოვნების ფასი.

-ვის მიუძღვენი მორიგი გამარჯვება?

-ყველას, ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს, მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს, მთლიანად ჩემს ქალაქს. განსაკუთრებით, ჩემთვის უძვირფასეს ადამიანს, ჩემი გზის გამკვალავს, გამზრდელს, აღმზრდელს, დაუზარელ მოამგეს, ქალბატონ lia ejibias. სხვა გზა არ დამრჩენია, მისი იმედები უნდა გავამართლო.

-სასწავლებლის შემდეგ იქნება კონსერვატორია, ეს უთუოა, აქაურ გარემოს როგორ შეელევი?

-ვერ წარმომიდგენია ქალბატონ ლიას გარეშე სამუსიკო ცხოვრება. მომავალი გვიჩვენებს ყველაფერს, მუსიკა, მელოდია, ფორტეპიანო, ნოტები და სხვა მრავალი ნიუანსი ჩემი ცხოვრების ნაწილია. სამყაროა, სადაც ფეხი კეთილმა და ამაგდარმა ადამიანებმა ამადგმევინეს, ქალბატონ ლიას მეშვეობით. ვეცდები, ყველა გავახარო კლავიშებიდან და კლავიშებმიღმა რეალობით.

კვლავაც ლაურეატის წოდებანი მოგეპოვებინოს ფორტეპიანოს ხმოვანებით, მორიგ წარმატებებს გისურვებთ!

დიდი მადლობა
ესაუბრა გიორგი შენგელია

„კარგსა რადა ქლავ სიკვდილო, განა შენც არა კვდებიო"

ვახტანგ კვირაიას ხსოვნას

თვალდახელშუა გაირბინეს წებმა, იყო ბავშვობა დარდიანი და ხალისიანიც, იყო სიჭაბუკე -ოქროს ხანა, მერე კი სიყვარულის ეპოქა, ქორწილი, ოჯახი, შვილები... უპირველესი მოვალობაც ესაა ქვეყნის წინაშე კარგი შვილები დავუტოვოთ ისედაც დაცლილ, დაპატარავებულ ქვეყანას. ვახტანგ კვირაია ყველაფერს აკეთებდა ოჯახური ბედნიერებისათვის, შვილების კარგ მოქალაქეებად ჩამოყალიბებისათვის, მიუხედავად იმისა, ცხოვრება ყოველთვის არ იყო ია-ვარდებით მოფენილი. მას განსაკუთრებით გულს ტკენდა ბოლოდროინდელი მოვლენები, თუმცა ყველგან და ყოველთვის კარგ კაცად და პატრიოტად რჩებოდა, რისთვისაც სათანადო პატივს მიაგებდნენ მეგობრები, ახლობლები. იგი წლების განმავლობაში ნავსადგურში მუშაობდა და თავის მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა ამ დიდი ორგანიზაციის საქმიანობაში. ამ მართლაც წუთი სოფელში, სიკვდილიც უეცრად წამოეწია, სწორედ მაშინ, როცა ვალმოხდილ კაცს, განვლილი გზით ნაშრომ-ნაამაგარით უნდა ეხარა. 23 მაისს 68 წლის გახდებოდა.

მძიმე დღეებია ოჯახისათვის, მეუღლე ზაირა კუცია, შვილები ზვიადი და ნათია, ცოლისძმები დიმიტრი და ანდრო კუციები, უახლოესი ადამიანები მწარედ განიცდიან კარგი კაცის წასვლას ამ ქვეყნიდან, მათ არამარტო ნათესაური, მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდათ, იყო ძმობა, ურთიერთგატანა, ქართული ტრადიციები და სტუმრიანობა, ხალისიანი და მხიარული დღეები მოგონებად დარჩა, რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არ არის. „ამ გზაზე ბევრი სიმღერა დაგვრჩა, ბევრი ია და ვარდები". მართლაც მოულოდნელი იყო შრომისმოყვარე, ოპტიმისტი, ყველას გვერდში მდგომი კაცის გარდაცვალება. ის მართლაც ავსებდა და ალამაზებდა ოჯახს, სამეგობროს.

ერთადერთი იმედი ღვთიური გზაა, გზა სულის უკვდავებისა, იწყება ხსოვნის სამყარო, შვილები, შვილიშვილები აგრძელებენ ცხოვრებას, ძაფი არ წყდება. სხვა რა დაგვრჩენია- ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ვახტანგ კვირაიას დიდებული სული.

ოჯახი

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა კავშირი „ფაზისი-დიოსკურია"-ს წევრები და ქალაქ ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ვეტერანი მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 59 წლის ასაკში ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლიციის ვეტერანი მუშაკი, ერთგული მეგობარი და ღირსეული მოქალაქე

გივი ჟორას -ძე გაბელია

და თანაგრძნობას უცხადებენ მიცვალებულის ოჯახს.

ახლო მეგობრები იური, ნატო ყაუხჩიშვილები, ნაირა სილოგავა, რუსუდან ილაშვილი, ზურაბ გულორდავა, ვანო ნარმანია, ლია ნანეიშვილი, იგორ, მაკა ღურჯიები, ომარ ხუხუნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 2018 წლის 2 მაისს ქ. რიგაში გარდაიცვალა

მაყვალა გიორგის ასული ბურდული

და თანაგრძნობას უცხადებენ მიცვალებულის ოჯახს.

ეს საინტერესოა:

ოქრო იმდენად იშვიათი მეტალია, რომ ერთ საათში მოპოვებული რკინა უფრო მეტია, ვიდრე კაცობრიობის მიერ მოპოვებული ოქრო მთლიანად.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისას ადამიანის თმა 725 კილომეტრის სიგრძის იზრდება.

ფენ-შუი თავიდან ნიშნავდა საფლავების მორთვის ხელოვნებას.

დაცემინებისას ყველა ორგანოს ფუნქციონირება ჩერდება - გულისაც კი.

აზიდვების მაქსიმალური რაოდენობა ერთ ჯერზე არის 46001.

გველს შეუძლია იძინოს სამი წლის განმავლობაში.

თეთრი ვეშაპის გული ფოლკსვაგენ ჟუკის ოდენაა.

ერთი მილიარდი წამი დაახლოებით 37 წელიწადია.

ქამელეონის ენა მის სხეულზე ორჯერ დიდია.

მაიკლ ჯორდანი კოლეჯში სწავლისას, მეორე კურსზე საკალათბურთო გუნდში არ აიყვანეს არასაკმარისი სიმაღლის გამო.

სპრინტერს (მორბენალი) შეუძლია სტარტიდან პირველ 10 მეტრზე სპორტულ ავტომობილს გაუსწროს.

სახეზე ფერიმჭამელების მოშორება შესაძლებელია ნებისმიერი ანტიბიოტიკის (ასპირინი, სუპრასტინი) საშუალებით - თუ დაფხვნილ აბს დავუმატებთ წვეთ წყალს.

ერთადერთი ჩიტი, რომელსაც უკუღმა ფრენა შეუძლია, არის კოლიბრი.

გიგანტური ხვლიკი - კომოდო თავს ესხმის ირემსა და ტახსაც კი.

მამაკაცთა ნახევარი საპირფარეშოდან გამოსვლისას ხელებს არ იბანს.

აეროდინამიკისა და ზუსტი ბალანსის შესანარჩუნებლად, არწივის ერთი ფრთიდან რომელიმე ბუმბულის გამოვარდნისას მეორე ფრთაზეც ზუსტად ის ბუმბული სცილდება.

ხეოფსის პირამიდის ფილებს შორის სივრცეებში შეუძლებელია სამართებლის გატარება.

არწივები ჰაერში წყვილდებიან.

„სიცოცხლეს შენზე ფიქრში ვატარებ,
სიკვდილსაც შენზე ფიქრში შევხვდები"

ეთერი (ედილია) ალიევა -ლეკიშვილის ხსოვნას

ერთი დიდი და ლამაზი ცხოვრების ბოლო დღეები,ბოლო დაბადების დღის ზეიმი, თუმცა, „სევდიანი ვით შემოდგომა". -ყოფნა-არყოფნის ზღვარი, მერედა, სად? - კავკასიის თოვლიანი მწვერვალები და გაზაფხული ლაგოდეხში. ულამაზესი ბუნება ამძაფრებს მასთან განშორების ტკივილებს. გაზაფხულის პირზე ინატრა წასვლა და აპრილის სუნთქვას შეუერთდა მისი ბოლო ამოსუნთქვა, როგორც მარადისობას. რა უცებ გაირბინეს ხალისიანმა წლებმა. ახალგაზრდობის სურათები კინოკადრებივით ცვლიან ერთმანეთს-სწავლა, სამსახური, ოჯახი, იყო ჯვრისწერა, ცხოვრების მეგზურად საყვარელი მეუღლე-გიორგი ლეკიშვილი, ცნობილი სამართალდამცავი, სპეტაკი, კეთილსინდისიერი პიროვნება, მთელს რეგიონში რომ აფასებდნენ. ორი გული ერთი აზრით გაერთიანდა სამუდამოდ. აზერბაიჯანელი გოგონა თითქოს ორ ერს შორის გადებული ხიდი იყო, ახლობლობა - სულიერი და ნათესაური.

ქალბატონი ედილია წლების განმავლობაში ლაგოდეხის რაიონის მთავარ ქირურგად მუშაობდა. ქალი ქირურგი იშვიათი იყო იმ დროს და მან შეძლო ბოლომდე ემსახურა ხალხისთვის, უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. მისი ჰიპოკრატეს ფიცისადმი ერთგულება, უანგარობა მრავალჯერ იქნა დაფასებული ხელისუფლების და მთავრობის მხრიდან.

ქალბატონ ედილიას ყოველთვის გამოარჩევდა დიდი პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა,- იყო მრავალმხრივ განათებული, მსოფლიო ლიტერატურის კარგი მცოდნე და შემფასებელი - პოეტური და ამაღლებული, ულამაზესი ქალბატონი, დიდებული მეუღლე, დედა, ბებია. ეამაყებოდა, რომ მამის გზას აგრძელებდა შვილი დავით ლეკიშვილი-რომელმაც სამართალდამცავ ორგანოებში ასევე კაცურად მოიხადა ვალი. - იოლი არაა ხალხს უყვარდე ამ სფეროში მომუშავე კაცი. ასევე ამაყობდა ქალიშვილის - ირინას წარმატებული ოჯახით. რძალი, ქალბატონი მაია გოზალიშვილი ცობილი ლექტორ - მასწავლებელი, შვილივით უყვარდა და რძალ-დედამთილი კი არა ნამდვილი მეგობრები იყვნენ. შვილიშვილი გიორგი ლეკიშვილი ბებოს ნებიერა იყო, ისე, რომ დედასაც კი ეძახდა პატარაობისას. მათი ურთიერთობაც ისე აეწყო თავიდანვე, თითქოს თანატოლები იყვნენ. ედილია ბებოს ძალიან ახარებდა ოჯახის ახალი წევრი-გიორგის მეუღლე ნინო აბრალავა, კოლხური ტრადიციები რომ მიიტანა ლეკვეიშვილების დიდ ოჯახში. გამორჩეული იყო მათი ურთიერთობაც.

ასე გადიოდა ხალისიანი დღეები და ქვეყანას მოევლინა შვილთაშვილი, კიდევ ერთი დავით ლეკიშვილი-ცისფერთვალება ბიჭი.

ბებოს ძალიან ეამაყებოდა შვილიშვილები გიორგი, ნანიკო და ზაზა, შვილთაშვილები სანდრო, დათუნა, და ზუკა.

ძნელია განშორება კარგ შვილებთან, შვილიშვილებთან, ახლობლებთან, არადა, როცა ყველაზე უფრო მეტად გინდა დატკბე სიცოცხლით და შენი ნაამაგარით, მაშინ მოდის დაღლილობა, არადა, შეეძლო კიდევ ეცოცხლა, არც ისე დიდი ასაკი ჰქონდა.

სიკვდილს ვერავინ ვერ გაექცევა, საქმე ისაა ვინ როგორ იყენებს სიცოცხლეს. დიდი ქალბატონი ვალმოხდილი მიდის, არავის ვალი არ მიყვება. პირიქით-აქეთ დაგვიტოვა ვალი. „სიცოცხლე იმას ნიშნავს, რასაც მანამდე ნიშნავდა, სიცოცხლე ისაა, რაც მანამდე იყო, ძაფი არ წყდება". - შვილები, შვილიშვილები, შვითაშვილები საფლავს ხშირად მიაკითხავენ და და ხსოვნის დოქს აავსებენ.

„რაც მიწის იყო, მიწაზე დარჩა,
და რაც ცის იყო, წავიდა ცისკენ"...

ასე გაილია ერთი კარგი ქალბატონის ცხოვრების გზა და დარჩა კვალი ნათელი, სანთელივით წმინდა და მლოცველი. რამდენი ხალისიანი გაზაფხული დარჩა უკან. ლამაზი ეზო-აყვავებული, დიდი სახლ-კარი, წლებით ნაშენებ-ნალოლიავები, მისი ცხოვრების ისტორია ქვეყნის ცხოვრების თანაზიარია-ტკივილიანსიხარულიანი. ის თანხვედრაში იყო ბიბლიასთან „ქალი იმიტომ გააჩინა ღმერთმა, რომ კაცი უყვარდეს, კაცი კი იმიტომ-რომ ქალი გაადმერთოს!"- იშვიათია ასეთი ცოლქმრობა-მარადიულ სიყვარულში გადასული.

ასე დაიწერა ერთი ლამაზი ქალბატონის ლამაზი ცხოვრების ბიოგრაფიის ფურცლები, რომელიც დიდხანს დარჩება ახლობლების, და თანაქალაქელების ხსოვნაში.

ჩუმად იცხოვრა და ჩუმად წავიდა ქალი,რომელიც დააკლდა ქალაქს დიდებული მოქალაქე, ექიმი, ღირსეული შვილი თავისი ქვეყნისა.

უკანასკნელ გზაზე მთელმა რაიონმა გააცილა... დაკრძალვაზე ჩამოვიდნენ უახლოესი ნათესავები აზერბაიჯანიდან, მოსკოვიდან, სხვა ქალაქებიდან. გულთბილად იხსენებდნენ სტუმართმოყვარე ქალბატონს-ორი ერის ტრადიციებს ასე კარგად რომ უხამებდა ერთმანეთს, წავიდა და თან გაიყოლა სევდა, წუხილი და მონატრება.

დასანანია, რომ ლამაზი კარ-მიდამოს ზღურბლზე არ შეგვეგებება დედა, ბებია, მეზობელი, ახლობელი და მეგობარი.

ღმერთი გვეხმარება დავსძლიოთ შიში არყოფნისა-ადამიანის სული უკვდავია.

წუთისოფლის გზებიც გაილიეხლა უცხო სამყაროს გზები იზიდავს.

კავკასიონის მთები-რა ახლოს დგანან და რა შორს არიან...

„ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
არ მინდა გული სამარეს მივცე,
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ"...

გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი,თორემ გაწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია...

გაზაფხულზე ინატრა წასვლა...

მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა...

დიდი პატივისცემითა
და სიყვარულით
ინგა და ზურაბ აბრალავები

ნომრის სპონსორია შპს „კეპტენი"- დირექტორი ალმისტერ ნემსაძე

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. „ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა